პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 23 (10720) | კვირა, 27 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ღირსეული შეხვედრა — დიდი ოქტომბრის 40 წლისთავს

მოსკოველი პირველი სოციალისტური სახელმწიფო — ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის ოთხ ათეულ წელიწადს ითვლის. ორმოცი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც „ავროროს“ ზალპმა მთელ დედამიწას ამცნო, რომ დაიწყო ახალი ერა ისტორიაში — სოციალიზმის ერა. რუსეთის გმირმა პროლეტარიატმა გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოახდინა. სამარადისოდ ჩაბარდა წარსულს საძულველი წყობილება კაპიტალისტებისა და მემამულეებისა. გავლილია გმირული ბრძოლებითა და თავდადებული შრომით აღსავსე ცხოვრების გრძელი და ძნელი გზა. და როცა საბჭოთა ადამიანები უკან მოიხედავენ, მათი გულები კანონიერი სიამაყისა და სიხარულის გრძნობით ივსება. ისინი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ჩვენი ქვეყანა განუხრელად მიდის იმ გზით, რომელიც მას დიდმა ლენინმა უჩვენა — კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ. საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების მსარდამხარ, კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ამ გზით მიდიან საქართველოს მშრომელებიც.

მრავალი საუკუნის მანძილზე მშრომელი ხალხი პირველად ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ აქცია თავისი ქვეყნის ერთადერთ და კანონიერ ბატონ-პატრონად. მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის წინაშე გადაიშალა შემოქმედებითი ტალანტის გაფურჩქვნის უსაზღვრო შესაძლებლობანი. მანამდე არასოდეს, არცერთ ქვეყანაში არ ჰქონიათ მასებსა და ცალკე პიროვნებას საკუთარი ნიჭისა და ენერგიის სრულად გამოვლინების ისეთი პირობები, როგორიც შეუქმნა მათ საბჭოთა წყობილებამ ჩვენს სამშობლოში. მასების შემოქმედებითი აქტივობა ყველაზე სრულად, ყველაზე ფართოდ პოულობს გამოხატულებას სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც კომუნისტური მშენებლობის ნაცადი და საუკეთესო მეთოდია.

მეექვსე ხუთწლედის მეორე წელი წარმოადგენს სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული დიად სამშაოთა პროგრამის განხორციელებისათვის შემდგომი ბრძოლის წელს, სახალხო მეურნეობის, კულტურის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის კიდევ უფრო ამაღლების წელს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ამოძრავა საბჭოთა ხალხის მთელი შემოქმედებითი ძალები. პლენუმმა მიმართა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით განაღდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

პარტიის ამ მოწოდებამ ფართო გამოძახილი ჰპოვა დიადი საბჭოთა ქვეყნის ყოველ კუთხეში. პირველნი მას გამოეხმაურნენ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მოწინავე საწარმოები, დონბასელი მეშახტეები — „კოჩეგარკას“ შახტის კოლექტივი, რომლებიც გამოვიდნენ ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

გუშინწინ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში, საერთო კრებაზე მეტალურგებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რუსთავის მეტალურგთა ამოცანები.

მოსკოველთა და დონბასელთა მაგალითით ქართველმა მეტალურგებმა გადაწყვიტეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის სასახელოდ აღნიშვნისათვის გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება. მათ მიიღეს მიმართვა საქართველოს სსრ მრეწველობის საწარმოთა ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსისა და მოსამსახურისადმი. მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენ გვიხდა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის მომავალ მეორმოცე წლისთავს, აღვნიშნოთ იგი ლითონის წარმოების ახალი ზრდით ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ვინაიდან ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ ვმუშაობთ მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს უბანზე, მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საფუძველთა საფუძველს“.

გასულ სამეურნეო წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა გარკვეული წარმატებები მოიპოვა, ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი და ნაგლინი გამოუშვა გეგმის გადამეტებით. მაგრამ, როგორც გუშინწინ კრების მონაწილენი აღნიშნავდნენ, ჯერ კიდევ ნაკლებად არის გამოყენებული მდიდარი შესაძლებლობანი.

მეტალურგებმა წინასწარ გულდასმით აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს 7 ნოემბრისათვის და წლის ბოლომდე რამდენიმე ათასი ტონა თუჯი, ფოლადი, კოქსი, ფოლადის მილები, ფურცლოვანი რკინა, წვრილსორტული ნაგლინი მისცენ დიდა-სამშობლოს. ამის მიღწევას ისინი აპირებენ იმით, რომ 1957 წლის გეგმასთან შედარებით 1,5 პროცენტით აამაღლებენ შრომისნაყოფიერებას. მათ კიდევ ბევრი სხვა კონკრეტული ვალდებულება იკისრეს.

„ჩვენ მივმართავთ საქართველოს სსრ ყველა სამრეწველო საწარმოს კოლექტივებს მოწოდებით, — ნათქვამია მეტალურგთა მიმართვაში, — ჩაებან საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის“.

მეტალურგთა ამ შესანიშნავ ინიციატივას ერთსულოვნად უჭერენ მხარს საქართველოს მშრომელები. გუშინ თბილისის საწარმოებში გაიმართა მიმართვის განხილვისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები. მეტალურგების თაოსნობას მხარს უჭერენ აგრეთვე ტყიბულელი მეშახტეები, ბათუმელი ძანქანათმშენებლები, მენავთობეები და რესპუბლიკის მრეწველობის სხვა დარგის მუშაკები.

საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას, რომელიც გამოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა და რომელიც სულ უფრო ძლიერდება აგვილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში. საწარმოთა კოლექტივების ყურადღება უნდა წარვმართოთ ახალი შინაგანი რესურსების გამოვლინებისა და გამოყენების, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და გადაუჭრელი ამოცანების გადაწყვეტისაკენ.

ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება ხანმოკლე კამპანია არ არის, წინ თითქმის მთელი წელიწადია. საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ, განვაზოგადოთ და გავავრცელოთ ყოველივე ახალი, მოწინავე, პროგრესული, რაც შეჯიბრების პერიოდში გამოვლინდება. წარმატება იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად დავიცავთ შეჯიბრების საჯაროობის პრინციპს — რეგულარულად მოვაწყობთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას, დროზე შევაჯამებთ და განვიხილავთ შედეგებს მუშათა კრებებსა და საწარმოო თათბირებზე. თვითეულმა მუშამ უნდა იცოდეს, ვინ მიდის წინ, ვის უნდა ესწოროს მხარი.

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა მუშაკებო! ღირსეული, სასახელო საწარმოო წარმატებებით შევეგებოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს, კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

მჯიდღება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა

მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა

შვიდი წელი შესრულდა ინდოეთის რესპუბლიკის გამოცხადების დღიდან. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა 26 იანვარს მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა. იგი მოაწყეს საკავშირო პროფსაბჭომ და საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ.

კავშირების სახლის სადღესასწაულოდ მორთულ სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ მუშები, ინჟინრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სტუდენტები.

სხდომა გახსნა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ვ. ი. პროხოროვმა. საზეიმოდ ღღერენ ინდოეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება ინდოეთის რესპუბლიკის გამოცხადების მეშვიდე წლისთავის შესახებ გაიკეთა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის დამოუკიდებელმა მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ მას მსოფლიოს ხალხთა დიდი პატივისცემა მოუხვეჭა. საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს ინდოეთის ღონისძიებებს მშვიდობის დაცვის საქმეში და მომზე ინდოელ ხალხს ახალ წარმატებებს უსურვებს ამ კეთილშობილურ ბრძოლაში.

სხდომის მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირში ინდოეთის ელჩის კ. პ. შ. მენონის გამოსვლას. მან თქვა, კერძოდ, რომ ინდოეთი და საბჭოთა კავშირი მშვიდობის გზას ადგანან. მშვიდობისადმი ამ მისწრაფებაში ორივე ქვეყანა მეგობრები და მოკავშირეები არიან. თავისი სიტყვა ელჩმა იმით დაამთავრა, რომ გამარჯვება უსურვა ინდოეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას. (საკდესი).

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციასთან

26 იანვარს მოსკოვში, კრემლში დაიწყო სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციასთან, რომელიც საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ვიზიტით ჩამოვიდა.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ა. ი. მიქოიანი და მ. ზ. საბუროვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ი. ტ. გრიშინი.

მოლაპარაკებას ესწრებიან სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. გ. ზverევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეოთხე განყოფილების გამგე ა. ი. გორჩაკოვი.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ზაპოტოცკი, მთავრობის თავმჯდომარე ვილიამ შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ზნტონინ ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვაცლავ კოპეცკი, მინისტრი — სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ინჟინერი ოტა შიმუნეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, მინისტრი — სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ემანუელ შლეხტა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რიჰარდ დვორჟაკი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დოქტორი იოზეფ პლოიგარი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ბოგუმირ ლომსკი, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი იოზეფ კისელი, რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარე რუდოლფ სტრეხაი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკი.

მოლაპარაკებას ესწრება ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე მიროსლავ გალუშკა.

მოლაპარაკების დასაწყისში კ. ე. ვოროშილოვი საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მეგობრულად მიესალმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციას, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა სახელმწიფო ვიზიტით, და მისი სახით მთელ ჩეხოსლოვაკიის ხალხს.

ა. ზაპოტოცკიმ დიდი მადლობა გადაიხადა იმ გულთბილი და გულითადი მიღებისათვის, რომელიც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციას მოუწყეს, და ჩეხოსლოვაკიის ხალხის სახელით გულითადი და ძმური სალამი გადასცა საბჭოთა კავშირის ხალხებს.

შემდეგ მოლაპარაკების მსვლელობაში გაიმართა აზრთა ყოველმხრივი გაზიარება საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. მოლაპარაკების მონაწილეებმა ერთმანეთს აზრები გაუზიარეს აგრეთვე საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობასთან და ორივე მხარეს აინტერესებს. ყველა საკითხში, რომლებსაც მოლაპარაკების დროს შეეხნენ, გამოვლინდა სრული ერთსულოვნება და ურთიერთგაგება.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა განსაკუთრებით მეგობრულ და გულითად ვითარებაში.

გადაწყდა განაგრძონ მოლაპარაკება.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაცია

25 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა სახელმწიფო ვიზიტით.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ მიღებას დაესწრნენ დელეგაციის მეთაური ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ზაპოტოცკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვილიამ შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვაცლავ კოპეცკი, მინისტრი — სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ინჟინერი ოტა შიმუნეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, მინისტრი — მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ემანუელ შლეხტა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რიჰარდ დვორჟაკი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დოქტორი იოზეფ პლოიგარი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ბოგუმირ ლომსკი, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი იოზეფ კისელი, რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარე რუდოლფ სტრეხაი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი. (საკდესი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა 25 იანვარს კრემლში მიიღო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაცია რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის მეთაურობით, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა სახელმწიფო ვიზიტით. პრეზიდენტთან ერთად იყვნენ პრემიერ-მინისტრი ვილიამ შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვაცლავ კოპეცკი, მინისტრი — სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ინჟინერი ოტა შიმუნეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, მინისტრი — მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ემანუელ შლეხტა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რიჰარდ დვორჟაკი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დოქტორი იოზეფ პლოიგარი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ბოგუმირ ლომსკი, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი იოზეფ კისელი, რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარე რუდოლფ სტრეხაი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი. (საკდესი).

დარბაზობა ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოში

25 იანვარს ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონმა დიდი დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის გამოცხადების დღის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საბჭოთა არმიის გენერლები, ცენტრალურ დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები, მთელი რიგი სამინისტროების პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერები, მსახიობები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

სტუმრებს შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვილიამ შიროკი და სხვა წევრები ჩეხოსლოვაკიის დელეგაციისა, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა სახელმწიფო ვიზიტით.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოთა და მისიათა თანამშრომლები. (საკდესი).

გავაჩაღოთ შეჯიბრება დიდი ოქტომბრის

მე-40 წლისთავის აღსანიშნავად!

საწარმოთა კოლექტივები ერთსულოვნად უჭერენ მხარს მეფალურგთა ინიციატივას

ბიბლიოთეკა

მიმართვის პასუხად

სახაუზმე შესვენების დროს რესპუბლიკის უძველესი საწარმოს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი მიტინგზე შეიკრიბა. მიტინგი მიეძღვნა რუსთავის მეტალურგთა მიმართვის განხილვას.

მიტინგი გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. დაშნელმა. მოხსენება გააკეთა ქარხნის უფროსმა გ. მაცაბერიძემ.

ენერგოძალოვან დანადგართა საამქროს უფროსმა ნ. მიქაშავიძემ განაცხადა:

— მეტალურგთა მოწოდების პასუხად ჩვენი საამქროს კოლექტივი შრომითს ვახებზე დგება და კისრულობს 1957 წლის დავალება 15 დეკემბრისათვის 135 პროცენტით შეასრულოს, ხოლო ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით დაამთავროს 15-ტონიანი ხიდური ამწის მონტაჟი.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: ქარხნის კოლექტივი მხურვალედ მიესალმება და მხარს უჭერს რუსთავის მეტალურგთა თაოსნობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით შეჯიბრების გაჩაღების საქმეში, და იღებს შემდეგ კონკრეტულ საწარმოო ვალდებულებებს: 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით შეაკეთოს ორი ორთქლმავალი და 3 სამგზავრო ვაგონი, ხოლო წლის ბოლომდე — 4 ორთქლმავალი და 10 სამგზავრო ვაგონი, საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება გაანადღოს 15 დეკემბრისათვის, პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შეამციროს 2,5 პროცენტით, გასულ წელთან შედარებით ორი დღით შეამციროს ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთებისათვის დგომის დრო. რკინიგზელებმა იკისრეს აგრეთვე 30 მარტისათვის დაამთავრონ სავაგონო საამქროთა რეკონსტრუქცია, კვალიფიკაცია აუმაღლონ 400 მუშასა და მოსამსახურეს. ქარხნის კოლექტივი, რომელიც მტკიცედ იცავს თავის მდიდარ ისტორიულ-რევოლუციურ ტრადიციებს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის გარშემო.

მეშახტეები შეჯიბრებაში ებმებიან

ტყიბული. (საკ. კორ). მეშახტეებში საყოველთაო მოწონება გამოიწვია რუსთავის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის პატრიოტულმა მოწოდებამ. მის განსახილველად ტყიბულეანაზირის ტრესტის შახტებში გაიმართა კრებები, რომლებზეც გამოითქვა სურვილი ჩაებან ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მეშახტეებმა ერთხმად გადაწყვიტეს 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღონ ათეულ ათასობით ტონა ქვანახშირი. ამ ვალდებულების შესასრულებლად მეშახტეებმა იკისრეს ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადაიყვანონ 12 ლავი, საექსპლოატაციოდ გადასცენ 6 ახალი ველი, აამაღლონ საშახტო მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე, სამთო მექანიზმებით გაიყვანონ 780 გრძივი მეტრი მიწისქვეშა გამონამუშევარი, ლითონით გამაგრებაზე გადაიყვანონ 1.345 გრძივი მეტრი. სამთო გამონამუშევრების საგრძნობი ნაწილი გაანათონ დლის სინათლით, მოახდინონ ქვანახშირის რამდენიმე სატვირთი ადგილის მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

მეშახტეთა ვალდებულებაა აგრეთვე გააძლიერონ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ტემპი, მიაღწიონ წლიური დავალების 7 პროცენტის გადამეტებით შესრულებას, შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გადიდონ ერთი პროცენტით, ქვანახშირის ნაცრიანობა შეამცირონ 0,12 პროცენტით და მიაღწიონ საკოქსე კონცენტრატის ხარისხის ამაღლებას. გეგმასთან შედარებით ქვანახშირის თვითღირებულება შეამცირონ ერთი მილიონი მანეთით.

მეშახტეებმა გადაწყვიტეს წელს ააგონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 6.500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ქალაქის კეთილმოწყობაზე დახარჯონ 600 ათასი მანეთი.

რუსთავის მეტალურგებს ქვანახშირის კონცენტრატით ამარაგებს ტყიბულის ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკა. მისმა კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 5.000 ტონა კონცენტრატი და ხარისხის გასაუმჯობესებლად, რასაც მათგან მეტალურგები მოითხოვენ, კონცენტრატის ნაცრიანობა 0,1 პროცენტით შეამციროს.

აჭარის დედაქალაქის საწარმოებში

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის დედაქალაქის ბევრ საწარმოში რადიოთი გაეცნენ რუსთავის მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას.

მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა ი. ნოღაიდელმა მიმართვის ტექსტის გაცნობისას თქვა: ჩვენი ქარხანა სისტემატურად ადიდებს ახალი რთული მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვებას. შარშან ჩაის ორი ფაბრიკის მოწყობილობა გავუგზავნეთ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ხოლო წელს ივნვარში მანქანების უკანასკნელი პარტია მივაწოდეთ. ამ დაკვეთის შესრულებაზე მანქანათმშენებლები დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ. ამჟამად ვამზადებთ ვიეტნამისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საკონსერვო მრეწველობის მანქანებს, რომლებიც პირველ კვარტალში გაიგზავნება.

მეტალურგთა მომართვის პასუხად გადავწყვიტეთ წლიური დავალება 25 დეკემბრისათვის შევასრულოთ და გეგმის გადამეტებით ხალხელმწიფოს მივცეთ 200 ათასი მანეთის პროდუქცია, მნიშვნელოვნად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამცირთ პროდუქციის თვითღირებულება, დავზოგოთ ნედლეული, მასალები და ელექტროენერგია, ფართო მასშტაბით გავშალოთ საბინაო მშენებლობა.

აიღეს რა ეს ვალდებულებები, მანქანათმშენებლებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს კიროვაკანელი თანამოსაქმეები.

მეტალურგთა თაოსნობამ აღაფრთოვანა ბათუმელი მენავთობეები. ისინი სიტყვას იძლევიან პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შესრულონ და 1.500 ტონით შეამცირონ ნავთობპროდუქციის დანაკარგები, 300 ათასი კილოვატ-საათით — ელექტროენერგიის ხარჯვა, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიიღონ ნახევარი მილიონი მანეთი ეკონომია.

მეგზი და მაღალი ხარისხის აბრეშუმი

გუშინ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში გაიმართა მიტინგი, სადაც ფეიქრები გაეცნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მიმართვას.

მიტინგზე გამოსულმა ყველა ორატორმა მოიწონა მეტალურგთა ინიციატივა. ფეიქრებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ჩაებნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში. მათ იკისრეს მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის დავალების გადამეტებით დაამზადონ 2.500 ათასი მანეთის ქსოვილები, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, ხოლო პირველი ხარისხის ქსოვილები 2 პროცენტით უფრო მეტი გამოუშვან, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. ფეიქრები დაზოგავენ 700 ტონა სთობოს და 190 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას, წარმოებაში ფართოდ გამოიყენებენ შრომის მოწინავე მეთოდებს, რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან მუშაობის გაუმჯობესებით მიაღწევენ ახალი სამარჯვეებისა და მოწყობილობის წარმოებაში დანერგვას, რის შედეგადაც 1957 წელს მიიღებენ 100 ათასი მანეთის პირობით ეკონომიას.

სრულიად საკავშირო თათბირი საზოგადოებრივი კვების საკითხებზე

კრემლში მიმდინარეობდა სრულიად საკავშირო თათბირი საზოგადოებრივი კვების საკითხებზე.

24 იანვრის დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე **მ. ვ. ხომუტოვი.** მან თქვა, რომ ბევრი დიდი ნაკლი უნდა აღმოიფხვრას საასადილოებს სანიტარულ მდგომარეობაში. მან მოიხმოა მიღებულ იქნს ღონისძიებანი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა უკეთ მოწყობისათვის და მათი მუშაკების სანიტარული მომზადების დონის ამაღლებისათვის.

გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის საქარხნო კომიტეტის მუშათა მოსარაგების კომისიის თავმჯდომარემ **მ. პ. მარტინცევამ** ილაპარაკა იმაზე, რომ საწარმოში არის 910 კონტროლიორი, რომლებიც თვალყურს ადევნებენ საასადილოებისა და მაღაზიების საქმიანობას. აქტიურად მუშაობს საქარხნო კომისია, რომელიც დაეხმარა ქარხნის საასადილოებს გადასულიყვნენ თვითმომსახურებაზე.

უკრაინის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ **კ. ფ. მოსკალენკომ** განაცხადა, რომ უკრაინის პროფორგანიზაციები საზოგადოებრივი კვების შესახებ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების შემდეგ უფრო აქტიურად უწევენ კონტროლს საასადილოების მუშაობას.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ვოლინის ოლქის ბოლოვნოს რაიკოოპკავშირის საჩაიეს გამგის **მ. ი. კუშნირის** სიტყვა. ეს საჩაიე, რომელიც 1954 წელს გაიხსნა, 60-ადგილიანია და ძირითადად კოლმეურნეებსა და სოფლის ინტელიგენციას ემსახურება. აქ მოწყობილია უგამყიდველო ბუფეტი, სადილების გაცემა შინ, ფირთოდ გავრცელებულია ნახევრფაბრიკატების გაყიდვა. საჭმლის მომზადების გაუმჯობესებისა და კერძების გაიაფებისათვის საჩაიესთან შექმნილია დამხმარე მეურნეობა-მეფრინველეობის ფერმა, ბოსტანი, კვალსათბურები, მოწყობილია ღორების გასუქება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ზ. ა. კვაჭაძემ** ილაპარაკა იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგან

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

ღრმად ჩავწვდეთ საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკას

თელავის რაიონის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თავდადებით იბრძვიან პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ რაიონის სამრეწველო საწარმოებმა და კოლმეურნეობებმა პირნათლად შეასრულეს 1956 წლის დავალებანი და საშობლოს მისცეს ბევრად იმაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნაწარმი, ვიდრე წინა წლებში.

ამ დღეებში გამართულ რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე რაიკომის მდივანმა ამხ. ზ. გელდიაშვილმა საანგარიშო მოხსენებაში დაწვრილებით ილაპარაკა ყოველივე ამის შესახებ. მომხსენებელმა განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო რაიონის ეკონომიკის ძირითად დარგს — სოფლის მეურნეობას.

რაიონის კოლმეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა გასულ სამეურნეო წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს: ჰექტარზე საშუალოდ მიღებულ იქნა 67 ცენტნერი ყურძენი, ე. ი. წინა წელთან შედარებით 9 ცენტნერით მეტი; ხორბალი საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 13,3 ცენტნერი ანუ 1955 წელთან შედარებით 4 ცენტნერით მეტი; სიმინდი ჰექტარზე მიღებულ იქნა 23,4 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა, ხოლო საერთოდ მარცვლეული საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 15,5 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11,57 ცენტნერისა. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მოწველილ იქნა 1.017 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 კილოგრამისა.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, რაიონში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც მნიშვნელოვანწილად აფერხებენ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ რაიონში კვლავ დაბალია მიწათმოქმედების კულტურა, ხშირად ირღვევა აგროტექნიკური წესები. მაგალითად, ნაფარეულის მტს-ის ზონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში გასულ წელს საშემოდგომო ხორბალი აგროტექნიკური ვადის დარღვევით დაითესა, არ სრულდება მზრალად ხვნის გეგმები. ამის გამო ზოგიერთი კოლმეურნეობა დაბალ მოსავალს იღებს, ვერ ასრულებს სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებას, შრომადღეებზეც მცირე რაოდენობით ანაწილებს მარცვალს და სხვა პროდუქტებს.

როგორც ცნობილია, თელავის რაიონი ძირითადად მევენახეობის რაიონია. ბუნებრივია, რომ კოლმეურნეობების შემოსავლის მთავარ წყაროსაც მევენახეობა წარმოადგენს. კოლმეურნე გლეხებს ძლიერ უყვართ ვენახი. ისინი თავდადებით დასტრიალებენ ვაზის თვითეულ ძირს, მონდომებით უვლიან და მოსავალსაც კარგს იღებენ. ეს შეიძლება ითქვას სანიორელ და წინანდელ, ართანელ და ჯუღაანელ, რუისპირელ და ლაფანყურელ, აგრეთვე მთელ რიგ სხვა სოფლების კოლმეურნეებზე, რომლებმა ჩამოთვლილთ. ბევრად უკეთესი კი იქნებოდა, რომ დელეგატებს მოესმინათ უფრო დაწვრილებითი ანალიზი პარტიის რაიკომის მუშაკთა, კერძოდ ინსტრუქტორთა ჯგუფების საქმიანობის შესახებ. მართალია, ამ საკითხებზეც იყო საანგარიშო მოხსენებაში ლაპარაკი, მაგრამ გაკვრით, უანალიზოდ. კონფერენციაზე ნათელი გახდა, რომ რაიკომის მუშაკები იშვიათად მიდიან ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში, ნაკლებ დროს ანდომებენ ცალკეულ მეურნეობათა ეკონომიკის შესწავლას.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა დელეგატებმა გააკრიტიკეს რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების, კავშირგაბმულობის სამინისტროს, „სოფლელექტროს“ რაიონული განყოფილების, სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობა.

— კარგი საქმეა საერთოდ კავშირგაბმულობა, — თქვა თავის სიტყვაში კისისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. საგანელიძემ, — მაგრამ ჩვენ კი ცუდად გვემსახურება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საშუალება არა გვაქვს ტელეფონით დავუკავშირდეთ რაიონულ ორგანიზაციებს. უფრო მეტიც. თბილისიდან საახალწლოდ გამოგზავნილი მისალოცი დეპეშები 8 იანვარს მოგვიტანეს. ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა დაინტერესდეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი ამხ. გ. ქრისტესაშვილი, თუ რას აკეთებს კავშირგაბმულობის განყოფილება რაიონში?

„სოფლელექტროს“ თელავის განყოფილებისა და მისი დირექტორის დ. მაღალაშვილის მოუქნელ მუშაობაზე ილაპარაკა კონფერენციის დელეგატმა ა. ქევხიშვილმა.

— უკვე მთელი წელიწადია, — თქვა მან, — რაც აკურელ კოლმეურნეებს სინათლეს გვაძლევენ დილის 3 საათიდან 7 საათამდე. რით არის ეს გამოწვეული? ამბობენ, ენერგია არ გვყოფნისო. თუნდაც ასე იყოს, განა არ შეიძლება მორიგეობით მაინც დააწესონ ცალკეული კოლმეურნეობებისათვის სინათლის მიცემა? შეიძლება, მაგრამ „სოფლელექტროს“ მუშაკებს ამის გაკეთება არა სურთ.

კონფერენციაზე კამათში გამოვიდა 17 კაცი. კამათის მონაწილეებმა წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებას, რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ ამაღლებას, პარტიული მუშაობისა და კადრების პოლიტიკური ზრდის გაუმჯობესებას.

* * *

გაიმართა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ზ. გელდიაშვილი, მეორე მდივნად — ა. ბატიაშვილი, მდივნად თელავის მტს-ის ზონაში — ლ. საჩიშვილი, მდივნად ნაფარეულის მტს-ის ზონაში — ნ. იანვარაშვილი.

ა. კოკილაშვილი,
ს. ქოჩლაძე.

თელავის XIX რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები.

დელეგატთა შენიშვნები

მაც შარშან ყურძნის ბარაქიანი მოსავალი მიიღეს. მაგრამ რაიონში მრავლად არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, სადაც ვენახების საკმაოდ დაუმუშავებლობისა და უყურადღებობის გამო ყურძნის ჯერ კიდევ დაბალი მოსავალი მოჰყავთ.

მაგალითად, იმის გამო, რომ ვენახებს მზრუნველობა და მოვლა-პატრონობა მოაკლეს, ლალისყურის, ყარაჯალის, ვანთის, ბუშეტის, ვარდისუბნისა და სხვა კოლმეურნეობებმა ყურძნის მეტად დაბალი მოსავალი მიიღეს. კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ საქმეში დანაშაული მიუძღვით თელავისა და ნაფარეულის მტს-ებსაც, რომლებიც საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ვენახების დამუშავებას, რიგთა შორის ხვნასა და კულტივაციას.

კონფერენციაზე ბევრი საყვედური და პრეტენზია გამოითქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისამართით.

— ახლა, როცა პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მებაღეობისა და მევენახეობის განვითარებას, — აღნიშნა კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ცხადაძემ, — ჩვენ უფრო მეტ ქმედითს დახმარებასა და ყურადღებას მოველოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციებისაგან.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. მოდებაძე, კონდოლის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი ლ. ლეშკაშელი თავიანთ სიტყვებში უსაყვედურებდნენ როგორც რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს, ისე რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებს, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ რაიონში საკმაო რაოდენობით შემოიტანონ საყრდენი მასალა (ბოძი, სარი), მავთული ვენახების შპალერებზე გადასაყვანად, ხარისხიანი სასხლავი მაკრატლები, შესაწამლი აპარატები, სანამყენე დანები და სხვ.

დელეგატებმა გააკრიტიკეს სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, რომლებსაც დღემდე რაიმე ეფექტიანი პრეპარატი არ შეუქმნიათ აბლაბუდამკეთებელი ტკიპას და ვაზის სხვა მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რაიონში კვლავ ჩამორჩენილ დარგად ითვლება მეცხოველეობა. ბევრ კოლმეურნეობაში არ სრულდება ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე რძის, ხორცის, მათ შორის ღორის ხორცის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოების გეგმა.

საანგარიშო მოხსენებაში ფართოდ იყო მოცემული კრიტიკა იმ სერიოზული ნაკლოვანებებისა, რაც ახასიათებთ რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებს, მტს-ებსა და სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს. მაგრამ არ იყო მოცემული მკაფიო პასუხი ძირითად კითხვაზე: პარტიის რაიკომი როგორ აწყობს პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნას? მომხსენებელი დაკმაყოფილდა ცალკეულ კოლმეურნეობათა, საწარმო-დაწესებულებათა და მათი ხელმძღვანელების გვარების ჩამოთვლით. ბევრად უკეთესი კი იქნებოდა, რომ დელეგატებს მოესმინათ უფრო დაწვრილებითი ანალიზი პარტიის რაიკომის მუშაკთა, კერძოდ ინსტრუქტორთა ჯგუფების საქმიანობის შესახებ. მართალია, ამ საკითხებზეც იყო საანგარიშო მოხსენებაში ლაპარაკი, მაგრამ გაკვრით, უანალიზოდ. კონფერენციაზე ნათელი გახდა, რომ რაიკომის მუშაკები იშვიათად მიდიან ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში, ნაკლებ დროს ანდომებენ ცალკეულ მეურნეობათა ეკონომიკის შესწავლას.

— კარგი საქმეა საერთოდ კავშირგაბმულობა, — თქვა თავის სიტყვაში კისისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. საგანელიძემ, — მაგრამ ჩვენ კი ცუდად გვემსახურება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საშუალება არა გვაქვს ტელეფონით დავუკავშირდეთ რაიონულ ორგანიზაციებს. უფრო მეტიც. თბილისიდან საახალწლოდ გამოგზავნილი მისალოცი დეპეშები 8 იანვარს მოგვიტანეს. ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა დაინტერესდეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი ამხ. გ. ქრისტესაშვილი, თუ რას აკეთებს კავშირგაბმულობის განყოფილება რაიონში?

„სოფლელექტროს“ თელავის განყოფილებისა და მისი დირექტორის დ. მაღალაშვილის მოუქნელ მუშაობაზე ილაპარაკა კონფერენციის დელეგატმა ა. ქევხიშვილმა.

— უკვე მთელი წელიწადია, — თქვა მან, — რაც აკურელ კოლმეურნეებს სინათლეს გვაძლევენ დილის 3 საათიდან 7 საათამდე. რით არის ეს გამოწვეული? ამბობენ, ენერგია არ გვყოფნისო. თუნდაც ასე იყოს, განა არ შეიძლება მორიგეობით მაინც დააწესონ ცალკეული კოლმეურნეობებისათვის სინათლის მიცემა? შეიძლება, მაგრამ „სოფლელექტროს“ მუშაკებს ამის გაკეთება არა სურთ.

კონფერენციაზე კამათში გამოვიდა 17 კაცი. კამათის მონაწილეებმა წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებას, რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ ამაღლებას, პარტიული მუშაობისა და კადრების პოლიტიკური ზრდის გაუმჯობესებას.

* * *

გაიმართა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ზ. გელდიაშვილი, მეორე მდივნად — ა. ბატიაშვილი, მდივნად თელავის მტს-ის ზონაში — ლ. საჩიშვილი, მდივნად ნაფარეულის მტს-ის ზონაში — ნ. იანვარაშვილი.

ა. კოკილაშვილი,
ს. ქოჩლაძე.

თელავის XIX რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები.

მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

★

ლექციები, მოხსენებები

სტალინირი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და სკოლებში ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით გაჩაღდა საagიტაციო-მასობრივი მუშაობა. ამ დღეებში პარტიის რაიკომში მოეწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტატორების თათბირი. აგიტატორებმა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა მოისმინეს პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ვ. სანაკოევის მოხსენება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების პერიოდში საagიტაციო მუშაობის ამოცანების შესახებ.

რაიონში დამატებით შეიქმნა 9 აგიტკოლექტივი. ახლა სულ საagიტაციო მუშაობას ეწევა 35 აგიტკოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 500-ზე მეტი აგიტატორი. ისინი საუბრებს მართავენ საბჭოთა კონსტიტუციის, ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

კოლმეურნეთა შორის ცოცხალ, მიმზიდველ საუბრებს აწყობენ სოფელ ერედვის, ძარწემის, ძარის აგიტატორები კ. ბერუაშვილი, მ. თვალაშვილი, კ. მინდიაშვილი, ო. ხარებოვი, ვ. სანაკოევი და სხვები. ისინი კოლმეურნეებს მოუთხრობენ სოციალისტური მშენებლობის დიად ამოცანებზე, რომლებიც მეექვსე ხუთწლიანი გეგმით არის დასახული, პარტიის XX ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობაზე, აცნობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით გაფართოვდა ლექციური პროპაგანდა. პარტიის რაიკომის ლექტორები და პოლიტიკური მომხსენებლები კოლმეურნეობებში აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს. ლექციური პროპაგანდა ახალი ძალით გაჩაღდა აგრეთვე პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორებმა.

თბილისის კალინინის რაიონის № 5 აგიტპუნქტში აგიტატორი ე. ქიქოძე (წინა პლანზე მარცხნივ) ესაუბრება ამომრჩევლებს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ.

ფოტო შ. გოქაძისა.

კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოქვეყნებისთანავე ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობაში გაიმართა აგიტკოლექტივის სემინარი. პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ს. უნგიაძე გვესაუბრა არჩევნებისათვის მზადების პერიოდში საagიტაციო მუშაობის ფართოდ გაშლაზე.

კოლმეურნეობის მე-3 ბრიგადას, რომლის აგიტატორად მე ვმუშაობ, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ახალი წარმატებებით შეხვდეს არჩევნებს. კოლმეურნეთა მძლავრი შრომითი აქტივობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვამ. ამომრჩევლები, ბრიგადის წევრები ე. ბერაძე, დ. უნგიაძე, თ. ბერაძე ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

ბრიგადამ ვალდებულება აიღო ჩაის პლანტაციების შებარვა და მინერალური სასუქების შეტანა 26 ჰექტარ ფართობზე არჩევნების დღისათვის დაამთავროს, თვითეული ჰექტარის დამუშავებაზე შრომის დანახარჯი 6 პროცენტით შეამციროს.

ამომრჩევლებს ვაცნობ არჩევნების დებულებას, ვესაუბრები საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ, გამოვუშვით კედლის გაზეთის ახალი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია არჩევნებისათვის მზადების ამსახველი მასალები.

ჟ. ათანასოვი,

ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობის № 3 ბრიგადის აგიტატორი.

საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცება

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა. სულ საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დასახელებულია პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებისა და საზოგადოებების 2.175 მოწინავე წარმომადგენელი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაამტკიცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა. მათს შემადგენლობაში დასახელებულია 6.455 კაცი.

(საქდესი).

უმოქმედო აგიტპუნქტები

პარტიის ლაგოდეხის რაიკომმა მთელი რიგი ღონისძიებები დასახა არჩევნებისათვის მზადების პერიოდში საagიტაციო-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლისათვის, მაგრამ მათი განხორციელება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს.

17 იანვრისათვის აგიტპუნქტებს მუშაობა არსებითად არ ჰქონდათ დაწყებული. მაგალითად, სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კანტორაში აგიტპუნქტისათვის ერთი ოთახი გამოყვეს და საქმე ამით დაამთავრეს. კოლმეურნეობისა და 7-წლიანი სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ ზრუნავენ საagიტაციო მუშაობის გაშლისათვის, უმოქმედოდა იჩენს აგიტპუნქტის გამგე ამხ. ა. ექვთიმიშვილი, აგიტპუნქტის მოწყობისთვისაც არავინ ზრუნავს.

— ჯერ არც ოთახი გვაქვს და არც არჩევნებისათვის მზადებას შევდგომივართ, — გულახდილად გვითხრა ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანასთან არსებული აგიტპუნქტის გამგემ ამხ. ე. ნასყიდაშვილმა. მართლაც, ამ აგიტპუნქტს და მასში გაერთიანებულ აგიტატორებს ჯერჯერობით მუშაობა არ დაუწყიათ.

სუსტად მუშაობს კალინინკის აგიტპუნქტი (გამგე ტ. შევლიაკოვა), არ წარმოებს აგიტატორთა მორიგეობა, არ ეწყობა კონსულტაციები.

საჭიროა აგიტპუნქტების მუშაობას სერიოზული ყურადღება მიექციოთ, რათა ისინი საagიტაციო-მასობრივი მუშაობის ცენტრებად იქცნენ.

ი. ნადაშვილი,

ლაგოდეხის რაიონულ გაზეთ „გამარჯვების დროშის“ მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.

გაზეთების ფურცლებზე

ეს გაკეთდა ორი წლის მანძილზე

გორის საქალაქო გაზეთმა **„სტალინელმა“** 18 იანვარს თითქმის მთელი ნომერი დაუთმო მასალებს იმაზე, თუ რა წარმატებებით ეგებებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს ქალაქის მშრომელები, რას მიაღწიეს მათ წინა არჩევნებიდან განვლილ პერიოდში.

გაერთიანებული გვერდის შესავალში, რომლის სათაურია „ეს გაკეთდა ორი წლის მანძილზე — არჩევნებიდან არჩევნებამდე“, ნათქვამია:

— ჩვენი ქალაქი ყოველდღიურად იცვლის სახეს, იზრდება და ვითარდება, აღმავლობის გზით მიდის მისი მრეწველობა. გორმა ბევრი სასიხარულო ცვლილება განიცადა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე — ადგილობრივი საბჭოების წინა არჩევნებიდან დღემდე. წინამდებარე გვერდში მოთხრობილია ამ მნიშვნელოვან ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა უკანასკნელ წლებში გორელ ფეიქართა ცხოვრებაში, იმაზე, თუ როგორ იზრდება ფეიქართა დაბა, როგორ მატულობს გორული ქსოვილის წარმოება...

გამომყვანი ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის ვ. თოფჩიშვილის წერილში სათაურით: „ფაბრიკის დღევანდელი და ხვალინდელი დღე“ ნათქვამია, რომ 1955 წლის 27 თებერვლისათვის — ბამბეულის კომბინატის გამომყვან ფაბრიკაში მხოლოდ ცალკეული საამქროები და უბნები იყო გადაცემული საექსპლოატაციოდ. ამჟამად ეს ფაბრიკა ბამბეულის ქსოვილების პირველი გამომყვანი, ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე მოწყობილი საწარმოა ჩვენს რესპუბლიკაში. თუ 1955 წლის პირველ კვარტალში ჩვენი ფაბრიკა ყოველდღიურად უშვებდა მხოლოდ 20 ათას მეტრ გამოყვანილ ქსოვილს, 1956 წლის დამლევს იგი ყოველდღიურად უკვე 130 ათას მეტრ ქსოვილს იძლეოდა... ჩვენი ფაბრიკა ასე გამართულად რომ მუშაობს, გორელი ფეიქრები ამას ვუმადლით დიდი რუსი ხალხისა და მომძმე რესპუბლიკების ხალხთა დახმარების ძალას. ჩვენ მადლობის გრძნობით ვიხსენიებთ მოსკოველ და ივანოვოელ სპეციალისტებს, რომლებიც დაგვეხმარნენ ფაბრიკის ამუშავებაში და ადგილზე ბევრ ახალგაზრდას შეასწავლეს პროფესია. კომბინატის მოწინავე ადამიანების წერილებში კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით ნათლად არის ნაჩვენები სართავი, საქსოვი ფაბრიკებისა და სხვა საამქროებისა და ობიექტების ფეიქართა შრომითი წარჩინება. ნაჩვენებია, თუ რა გზით აღწევენ ისინი წარმატებას, რა ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ სახელი გაუთქვან მშობლიური კომბინატის ქსოვილებს.

გორელ ფეიქრებს ახარებს ის ფაქტი, რომ მოწინავე ტექნიკის დანერგვით და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილად გამოყენებით, ყოველდღიურად იზრდება გორული მარკის ქსოვილების რაოდენობა, ასორტიმენტი და გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, მათ ახარებს ის, რომ 1957 წელს ისინი ჩვენს ქვეყანას მისცემენ გორული მარკის 520 მილიონი მანეთის ღირებულების საუკეთესო ხარისხის მზა პროდუქციას.

რედაქცია რჩევას აძლევს აგიტატორებს გამოიყენონ ნომერში გაბოქვეყნებული მასალები ამომრჩევლებთან საუბრებში.

აღნიშნული მასალების დაბეჭდვით გაზეთმა „სტალინელმა“ სასარგებლო საქმე გააკეთა.

შესრულებულია კოლექტიური ხელშეკრულების ყველა მუხლი

უკვე დაიწყო მუშაობა საწარმოებში ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დასადებად 1957 წლისათვის. დროა თვალი გადავავლოთ იმ მუშაობას, რომელიც გაწეულ იქნა 1956 წელს კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, და შევაჯამოთ შედეგები.

ცნობილია, რომ კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს შეთანხმებას საწარმოს პროფკავშირულ კომიტეტსა და ადმინისტრაციას შორის, მოიცავს როგორც მშრომელთა კულტურულ და საყოფაცხოვრებო, ისე საწარმოო ცხოვრების ყველა მხარეს. მისი მიზანია სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებითა და მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებით უზრუნველყოს პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, გააუმჯობესოს შრომის ორგანიზაცია, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები.

თბილისის შამპანური ღვინის ქარხანაში გასულ წელს უფრო მეტად, ვიდრე წინა წლებში, ადმინისტრაცია და ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ კოლექტიური ხელშეკრულების განუხრელად შესრულებას და ასეთი ყურადღების შედეგად, მართლაც წარმატებით და ვადამდე შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მუხლი. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ გასულ წელს 13 დეკემბრისათვის ქარხნის კოლექტივმა გაანაღდა წლიური დავალება. ამ დროისათვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 102,1 პროცენტით, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით იქნა განაღდებული სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალებაც.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივს ნაკისრი ჰქონდა წლიური გეგმის გადამეტებით დაემზადებინა 2 მილიონი მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად კი დაამზადა 2.432 ათასი მანეთისა. ვალდებულებით გათვალისწინებული ერთი პროცენტის ნაცვლად შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებას გადავაჭარბეთ 6,4 პროცენტით. 5 მილიონი მანეთით შევამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება. ამავე დროს მიღწეულია ღვინომასალის დიდი ეკონომია, სულ 1.407 დეკალიტრის რაოდენობით. დავალებასთან შედარებით თითქმის სამჯერ გავადიდეთ ზეგეგმითი დაგროვება.

მეორე და მესამე კვარტალში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით რესპუბლიკაში გამარჯვებული გამოვიდა ჩვენი ქარხნის კოლექტივი. უკვე რამდენიმე თვეა იგი ფლობს საქართველოს შამპანური კომბინატისა და კვების მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

წარმატებები მოპოვებულია იმის შედეგად, რომ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ქარხნის მთელი კოლექტივი იყო დარაზმული. ფართოდ გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება როგორც საამქროებსა და ბრიგადებს შორის, ისე ინდივიდუალურად მუშებს შორისაც. შეჯიბრება ეწყობოდა პროფესიების მიხედვითაც. პროდუქციის გამოშვების გადიდებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ, პროგრესული ტექნოლოგიისა და ახალი ტექნიკის დანერგვამ, მოწინავეთა მეთოდების ფართოდ გავრცელებამ.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა რაციონალიზატორულ გამომგონებლობას. წელს ქარხნის რაციონალიზატორებმა ოცზე მეტი წინადადება შემოიტანეს. უმეტესი ნაწილი დაინერგა წარმოებაში, რაც წლიურად 70-80 ათასი მანეთის ეკონომიას მისცემს ქარხანას.

საწარმოო დავალებების ვადამდე განაღდებას საგრძნობლად შეუწყო ხელი კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იმ ღონისძიებათა განხორციელებამ, რომლებიც მუშათა შრომის დაცვას, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და კულტურულ მომსახურებას ეხებოდა. მთელი რიგი წლების მანძილზე შეუსრულებელი რჩებოდა კოლექტიური ხელშეკრულების მუხლი, რომელიც შეეხებოდა აბანო-სამრეცხაოს მშენებლობას. ამ ობიექტის აგებას მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუშა-მოსამსახურეებისათვის. ქარხანა და მისი საცხოვრებელი სახლები, როგორც ცნობილია, მდებარეობენ ქვემო ავჭალაში და ძლიერ დაშორებული არიან როგორც ქალაქის ცენტრს, ისე ლენინის რაიონის საყოფაცხოვრებო და კულტურულ დაწესებულებებს. 1956 წლის ხელშეკრულებაში მუხლი აბანო-სამრეცხაოს აგების შესახებ აღარ შეგვიტანია, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროფკავშირული ორგანიზაციის დაჟინებითი მოთხოვნით და პარტიის ლენინის რაიკომის ჩარევით მივაღწიეთ საჭირო თანხების გამოყოფას, დაიწყო აბანო-სამრეცხაოს აგება, რომელიც ნახევარი მილიონი მანეთი ჯდება.

გასულ წელს დავიწყეთ კიდევ ერთი დიდი ობიექტის — სტადიონის მშენებლობა. ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ განახორციელონ მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებები.

ქარხნის სამედიცინო დახმარების პუნქტი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს, კეთილმოუწყობელი იყო, აკლდა საჭირო მედიკამენტები. გარდა იმისა, რომ შეძენილ იქნა ყველა მედიკამენტი, ადმინისტრაციამ პუნქტისათვის გამოჰყო კიდევ ერთი ოთახი, სადაც დაიდგა ფიზიოაპარატურა. ახლა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშათა სამედიცინო მომსახურება.

მრავალი ღონისძიება განხორციელდა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. აი ზოგიერთი მათგანი. საკუთარი ბიბლიოთეკის უქონლობის გამო მუშა-მოსამსახურეები მოკლებული იყვნენ საშუალებას გასცნობოდნენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს. პროფორგანიზაციამ მიაღწია იმას, რომ ადმინისტრაციას მუშებისათვის მოეწყო ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო ლიტერატურით. შევიძინეთ სასუნე ორკესტრისათვის ინსტრუმენტები. შექმნილია და მუშაობს მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა წრეები. ქარხანაში მომუშავე ქალაშვილები და ჭაბუკები გაცხოველებით ემზადებიან ახალგაზრდობის ფესტივალისათვის. ქარხნის კლუბში ახლა სისტემატურად იმართება საღამო-კონცერტები.

გარკვეული მუშაობა გავწიეთ მუშათა მომარაგებისა და ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიების და სასადილოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად. წინათ ხშირი იყო საჩივრები სავაჭრო ქსელის ცუდ მუშაობაზე. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის მუშათა მომარაგების კომისიამ შეისწავლა მდგომარეობა, მოვიწვიეთ მომხმარებელთა კონფერენცია, რომელზეც გამოვლინებული იქნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი და დაისახა ღონისძიებანი მათი გამოსწორებისათვის. ახლა მომხმარებელთა მომსახურება შედარებით გაუმჯობესდა.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა განახორციელა მთელი რიგი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი იმისათვის, რომ ვადამდე დავამთავროთ მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმა.

ნ. ქარაზანაშვილი,

პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მეღორეობის შეუფასებლობას იჩენენ“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდილ კორესპონდენციაში ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი წერდა, რომ ლანჩხუთის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მეღორეობის განვითარების სახელმწიფო დავალების შესრულება ჩაშალეს. რაიონს მეღორეობის განვითარების ყველა შესაძლებლობა აქვს, მაგრამ იგი ცუდად არის გამოყენებული.

წერილი განიხილა საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ, კრიტიკა სწორად ცნო და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მეღორეობის განვითარების

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო სამუშაოებს

პირობას გავანაღდებთ

მტს-ის პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, შარშან სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა დიდი გადამეტებით შეასრულა. ახლა ვემზადებით გაზაფხულისათვის. ვადამდე შევასრულეთ გასული წლის მეოთხე კვარტალის რემონტის გეგმა.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვის პასუხად ბრიგადის წევრებმა ვიკისრეთ ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტის გეგმა შევასრულოთ მიმდინარე წლის იანვრის ბოლომდე, ხოლო კომბაინებისა — 10 აპრილისათვის, ამასთან ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის თვითღირებულება შევამციროთ 8 პროცენტით, თვითეული ტრაქტორისა და კომბაინის ძრავები გამოვცადოთ სიმძლავრესა და საწვავის ხარჯვაზე; ზამთრის პერიოდში ბრიგადიდან სამ კაცს შევასწავლოთ დამატებითი პროფესია.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადას, რომელსაც ზ. მამულაშვილი ხელმძღვანელობს.

მ. გეჯაძე,

კასპის მტს-ის პირველი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი.

მოვიყვანთ უხვ მოსავალს

შარშან ყურძნის კარგი მოსავალი მოვიყვანეთ. ჩვენმა რგოლმა 5,15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერი ყურძენი მიიღო. პირადად მე მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარზე 130 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერისა.

აქედანვე ვემზადებით მიმდინარე წელს მაღალი მოსავლის მოსაყვანად. მომარაგებული გვაქვს ადგილობრივი სასუქები და თანდათანობით შეგვაქვს ვენახებში. მაგრამ აქაც გვაქვს ნაკლი. წუნწუხი კარგი საშუალებაა მცენარის გამოსაკვებად, მაგრამ მის შესაგროვებლად კოლმეურნეობაში არ ზრუნავენ.

ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ჩვენი რაიონის სოფელ ალის ხტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს გ. ნოზაძეს და ვკისრულობთ 5,15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 120 ცენტნერი ყურძენი, ხოლო პირადად მე ერთ ჰექტარზე მოვიყვან 150 ცენტნერ ყურძენს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერისა.

ი. ხაჩიძე,

ხაშურის რაიონის სოფელ ტაშისკარის კოლმეურნეობის მეგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.

სოციალისტური შეჯიბრება რძის წარმოების გაძიდებისათვის

წინ მიდიან

მცხეთის რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში — 1956 წლის 1 ოქტომბრიდან 1957 წლის 1 იანვრამდე მოწველეს 199 ტონა რძე — 40 ტონით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 127 კილოგრამი რძე — 2 კილოგრამით მეტი გასული სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

საგარეჯოს რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში მოწველეს 454 ტონა რძე — 62 ტონით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 127 კილოგრამი რძე.

მახარაძის რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში მოწველეს 422 ტონა რძე — 37 ტონით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 162 კილოგრამი რძე — 34 კილოგრამით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ჩამორჩნენ

ლაგოდეხის რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში მოწველეს 355 ტონა რძე — 125 ტონით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 137 კილოგრამი რძე — 32 კილოგრამით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

თეთრი წყაროს რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში მოწველეს 369 ტონა რძე — 88 ტონით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 114 კილოგრამი რძე — 28 კილოგრამით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

თელავის რაიონი

რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში მოწველეს 305 ტონა რძე — 46 ტონით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 134 კილოგრამი რძე — 16 კილოგრამით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

პირუტყვის გამოზამთრება საფრთხეშია

პირუტყვის გამოზამთრებისათვის ონის რაიონში ცუდად მოემზადნენ. მეტ წილ კოლმეურნეობებში არა აქვთ საკვები, დათბუნებული სადგომები. გაიზარდა პირუტყვის სიკვდილიანობა. 1957 წლის 1 იანვრისათვის დაიხოცა 315 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

სამწუხარო ფაქტებია გლოლის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე რ. ბიძისვილი). აქ იშვიათია ისეთი დღე, რომ ერთი ან ორი სული პირუტყვი არ მოკვდეს, უკვე მოკვდა 31 სული პირუტყვი, სოფელ ზვარეთის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. მესხი) — 22, ჩორდის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. მაისურაძე) — 16, სევის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. სულაძე) — 17, უწერის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. მეტრეველი) — 14. ასეთივე მდგომარეობაა საკაოს, კვაშხეთის, მოედნის, შეუბნის, ჭიორისა და ქვემო ბარის კოლმეურნეობებში.

ასეთი დიდი რაოდენობით პირუტყვის სიკვდილიანობა რაიონის ვეტმუშაკების ცუდი მუშაობითაც აიხსნება. რაიონის მეცხოველეობის ბევრ ფერმას მოუწყობელი და ცივი ბინები აქვს. ამასთან თვითეულ სულ პირუტყვს ღამე-ღამეში მხოლოდ 4-6 კილოგრამი უხეში საკვები და სილოსი ეძლევა. არ ხდება უხეში საკვების წინასწარი შემზადება. ცუდი კვების შედეგად პირუტყვი გამხდარია. საკაოს, ხირხონისის, მოედნის, წოლის, გლოლის, ჩორდის, ზვარეთის, გადამშისა და ქვემო ბარის კოლმეურნეობებში მოუვლელობისა და ცუდი კვების შედეგად პირუტყვი ძალიან დასუსტებულია.

თებერვლიდან რაიონში მასობრივად დაიწყება ნამატის მიღება. მაგრამ გლოლის, უწერის, ნიგავზების, ქორთისა და გადამშის კოლმეურნეობებს ჯერ სახბორეებიც არა აქვთ. ისინი ნამატის მოთავსებას მოზრდილ პირუტყვთან ფიქრობენ, რაც მოზარდის დაკნინებასა და სიკვდილიანობას გამოიწვევს.

ცალკეულ კოლმეურნეობებში ვხვდებით საკვების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტებს. მაგალითად, მოედნის კოლმეურნეობის სოფლის მეურნეობის სპეციალისტმა ვ. ბუგაიანიშვილმა და პ. კობახიძემ კოლმეურნეობის პირუტყვისათვის განკუთვნილი ერთი ტონა ქატო გაანიავეს, მაგრამ მათთვის პასუხი არავის არ მოუთხოვია.

ზოგიერთი კოლმეურნეობის უხეირო ხელმძღვანელობის შედეგად არც ფერმის მუშაკთათვის არის შექმნილი ნორმალური პირობები. ხირხონისის, ქორთის, ზვარეთისა და სევის კოლმეურნეობებს მეცხოველეები პირუტყვის სადგომებში ათევენ ღამეს.

მეცხოველეებთან მივიწყებულია პარტიულ-პოლიტიკური და საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. არ ეწყობა აგიტაცია-საუბრები. მეცხოველეთა უმეტესი ნაწილი არ იცნობს ამავე რაონის მთისკალთისა და შქმერის კოლმეურნეობების მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებას. სოციალისტური შეჯიბრება ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის არავინ ზრუნავს.

პარტიის ონის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა არ უნდა დაუყოვნონ ქმედითი ზომების მიღება პირუტყვის გამოზამთრებაში საგანგაშო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ა. ბეშიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ვიდრე მშობელი ოჯახში დაბრუნდებოდეს...

სკოლაში გაკვეთილები დამთავრდა. მოსწავლეები ყივილ-ხივილით გამოეფინენ საკლასო ოთახებიდან, კიბეები ჩაირბინეს და შინისაკენ გაეშურნენ. მაგრამ ყველა სახლისაკენ როდი გაუდგა გზას. ბავშვების ერთმა ჯგუფმა იქვე, მუდ-კამეოლის კომბინატისაკენ გაუხვია. ეს ის ბავშვები არიან, რომელთა მშობლები ახლა კომბინატში თავს დასტრიალებენ დაზგებს და ამის გამო შინ ვერ მეეგებებიან სკოლიდან დაბრუნებულ პატარებს. მაგრამ რა ვუყოთ მერე, სამაგიეროდ მშობლების ნაცვლად მათ არანაკლებ ალერსიანად ხვდება ახალგაზრდა პედაგოგი მერი ხინველი.

აი ახლაც დედასავით შეეგება მერი სკოლიდან დაბრუნებულ პატარებს, ზოგს მოეფერა, ზოგს ჯანმრთელობა გამოჰკითხა, ზოგს ღიღინი გაუსინჯა, კმაყოფილმა დედობრივი მზრუნველობით თავზე ხელი გადაუსვა და მათთვის განკუთვნილი ოთახებისაკენ გაუძღვა.

ბავშვებმა ჩანთები დაალაგეს, ხელ-პირი დაიბანეს, შემდეგ კი ჩამწკრივებულნი გაეშურნენ მუშათა სასადილოსაკენ.

დამთავრდა სადილი, კომბინატის ეზო სიცილ-კისკისით აივსო.

ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა ბავშვთა ეს ყრიამული, რომ მერი მასწავლებელს არ დაეძახა.

— გეყოფათ, ბავშვებო, ახლა გაკვეთილები მოამზადეთ.

პატარებს გული დასწყდათ, მაგრამ მაინც უსიტყვოდ დაემორჩილნენ საყვარელ პედაგოგს და სამეცადინო ოთახებს მიაშურეს.

მუდ-კამეოლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა ახალ წელს ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. კომბინატის დირექციამ საფაბრიკო კომიტეტთან ერთად ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში გამოყო რამდენიმე ათეული ათასი მანეთი ბავშვებისათვის სასკოლო ოთახის დასაარსებლად. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ამ ოთახში ისვენებენ, ერთობიან და გაკვეთილებს ამზადებენ საწარმოში მომუშავეთა შვილები 8-წლიდან 13 წლის ასაკამდე, რომლებსაც მეთვალყურეობას გამოცდილი პედაგოგი უწევს.

სასკოლო ოთახი ახალი წლის პირველი დღეებიდანვე შეუდგა მუშაობას. აქ უკვე 60 მოსწავლე მეცადინეობს. მათს განკარგულებაშია პატარა ბიბლიოთეკა სასკოლო სახელმძღვანელოებით, მოძრავი ანბანი, გეოგრაფიული რუკები, სასწავლო პლაკატები, ათასგვარი გასართობები და სათამაშოები.

ბავშვებისათვის მუშათა სასადილოში გამოყოფილია კუთხე, სადაც ისინი სადილობენ. კვებისათვის საჭირო თანხის 50 პროცენტი წარმოების ფონდიდან იხარჯება; ამრიგად, თვითეულ ბავშვზე მშობელს თვეში 39 მანეთზე მეტის გადახდა არ უხდება, ხოლო მრავალშვილიანი მშობლები მთლიანად თავისუფლდებიან ამ გადასახადისაგან.

მოსწავლეებს კვირაში ორჯერ უფასოდ უჩვენებენ კინოსურათებს, დაპყავთ თოჯინების თეატრში, ექსკურსიებზე. კომბინატის კლუბში ბავშვები გაერთიანებული არიან ჭადრაკის, შაშის, ჭრა-კერვის, სიმღერისა და ცეკვის წრეებში, სწავლობენ დაკვრას სხვადასხვა საკრავზე.

ამას წინათ კომბინატმა ბავშვებისათვის შეიძინა თოჯინები. ახლო მომავალში ბავშვთა თვალისმომგვრელი თოჯინების თეატრი კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს ერჩვენებს ხელოვნებას პირველ სპექტაკლს...

სამეცადინო ოთახში ბავშვებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს. თანაკუჯუფელები ერთმანეთის გვერდით მოთავსდნენ. გაკვეთილების მომზადება წერითი სამუშაოების შესრულებით დაიწყო. მასწავლებელი მ. ხინველი და ბავშვთა სექტორის გამგე ა. ტაბიძე თავს დასტრიალებენ გულმოდგინედ მომუშავე პატარებს, უსწორებენ ნამუშევარს, აძლევენ მითითებას, ხოლო შედარებით სუსტები კი დაფასთან გამოჰყავთ და იქ ავარჯიშებენ.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ბავშვებს ახალი დოკუმენტალური ფილმი უჩვენეს. გული კმაყოფილებითა და სიხარულით ჰქონდათ ავსებული პატარებს. ახალ გარემოს ისე შეეჩვივნენ, რომ არც კი უნდოდათ გაჰყოლოდნენ მათ წასაყვანად მოსულ უფროსებს.

...ღამის თორმეტი საათი სრულდებოდა, როდესაც ყენია ჯავახიშვილი კომბინატიდან დაბრუნდა (მეორე ცვლაში მუშაობდა). ფრთხილად შეაღო თავისი პატარა ნაილის ოთახის კარი, საწოლთან მივიდა, ბავშვს ტკბილად ეძინა. საბანი გაუსწორა, ნაზად აკოცა შუბლზე, შემდეგ თმაზე ხელი გადაუსვა და ფეხაკრეფით გაშორდა საწოლს პატარას არ გაეღვიძოსო. ოთახში მიმოიხედა. მაგიდაზე ნაილის სასკოლო დღიურს მოჰკრა თვალი, გადაშალა. — კიდევ ხუთიანი მიუღია ქართულში, წინათ კი როგორ უჭირდა! — ჩაილაპარაკა თავისთვის, ბოლომდე ჩაათვალიერა დღიურის ფურცელი, სახე თანდათან გაუბრწყინდა.

— კარგია, ნამდვილად კარგი. ბავშვმა საგრძნობლად უმატა სწავლას, ხვალ აუცილებლად ვნახავ მერის, მადლობა უნდა გადავუხადო.

ზ. ჩილაჩავა.

სურათებზე: ზემოთ — თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატთან მოწყობილ „საკლასო ოთახში“ მოსწავლეები მასწავლებელ მერი ხინველის ხელმძღვანელობით ამზადებენ საშინაო დავალებას. ქვემოთ — მოსწავლეები კომბინატის სასადილოში სადილობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საბავშვო სახლის აღსაზრდელებთან

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა ერთი ჯგუფი თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ესტუმრა კოჯრის მეექვსე საბავშვო სახლის აღსაზრდელებს.

ბავშვები ხალისიანი სიმღერებით შეხვდნენ სტუმრებს. ეს სტუმრები დღეს პირველად ხომ არ მოდიან მათთან! ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო უკვე ხუთ წელზე მეტია შეფობას უწევს საბავშვო სახლს.

აღსაზრდელებს მშობლები არა ჰყავთ, მაგრამ უდედმამობას როდი გრძნობენ. მათზე ზრუნავს კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ხალხი. ისინი ბედნიერად იზრდებიან, იძენენ ცოდნას. აი ახლაც მათმა შეფმა უამრავი საჩუქარი — საწერი მაგიდა, წიგნის კარადა, ტახსაცმლის 5 საკერავი მანქანა, წიგნები, სამელნეები, რვეულები, გლობუსები, სათამაშოები მოუტანა. უახლოეს ხანში შეფი საბავშვო სახლს სასწავლო სახელოსნოს მოუწყობს.

ამ დღეს საბავშვო სახლს ესტუმრნენ აგრეთვე ყოფილი აღსაზრდელები, ახლა კი მოწინავე მუშები ნ. არაბოვი, ს. ატოიანი, გ. აკოფოვი და სხვ.

ნ. ლოლაძე.

ანდაღაღის სტუმრები*

სულეიმან სტალსკისა და გამზატ ცადასას ძეგლების გვირგვინებით შემკობის შემდეგ, როცა მახაჩკალის ღირსშესანიშნაობებს ვათვალიერებდით, ჩვენ შემოგვიერთდა ნიჭიერი დაღისტნელი პოეტი რასულ გამზატოვი — არაერთხელ ნამყოფი თბილისსა და დუშეთში, ჩვენი მოსიყვარულე და მეგობარი. ჩვეული ენამახვილობა გამზატოვმა ამჯერადაც მოიმარჯვა.

— ეტყობა, ქართველ ქალებს ლეკების ტყვეობისა არ ეშინიათ, რაკი თავიანთი ნებით ჩამოსულან დაღისტანში, — რასულის ეს სიტყვები ელენე პირმისაშვილის მისამართით იყო ნათქვამი და ისედაც მოკრძალებულ მთიელ ქალს მორცხვობის ალმურმა გადაჰკრა.

— რახან თქვენ ამბობთ, პოეტო, ქართველი ქალის სილამაზემ ჩვენ თვითონ დაგვატყვევოო, რაღაა საბაში, — ელენეს მაგიერ ნიშნის მოგებით უპასუხა პოეტს ერთმა ჩვენგანმა. მას, ეტყობა, მხედველობაში ჰქონდა ქართველი ქალიშვილებისადმი მიძღვნილი გამზატოვის ლექსის სტრიქონები:

„თქვენ გადმიხედეთ, რაც მრისხანეზა
ახსოვს ამ ქედებს, ამ მთებს ნაციხარს,
რაც ჩვენს ნაიბებს, ქართლის ქალებო,
ოდესმე მთაში გაუტაცნიხართ.
დღეს მე შემბოჭეთ გულით მრისხანით,
უომრად ერთის თვალის მოვლებით
და გამიტაცეთ და დამიპყრით,
მა, თქვენი ტყვე ვარ, თქვენ გემონებით“.

ხახემოღიმარმა რასულმა თვითონვე გაიმეორა თავისი ლექსის ბოლო სტრიქონი — „მა, თქვენი ტყვე ვარ, თქვენ გემონებითო“ — და ნიშნად იმისა, რომ მაჯობეთო, ხელები მაღლა აღმართა...

მახაჩკალისა და მახაჩკალელი მეგობრების ნახვის, მათთან ტკბილი საუბრის შემდეგ დადგა გუნებში გამგზავრების დღე. ამიერიდან ვეთხოვებოდით ბარს, ზღვის სანაპიროს და ვეძლეოდით მთების მშვენებას. დაღისტანი ხომ განთქმულია მთებით; მახაჩკალიდან გასვლისთანავე დაიწყო აღმართები, ულელტეხილები, ხეობები. დაღისტნის ხრიოკი მთები საოცრად ჰგავს დარიალის ხეობის პეიზაჟს, რასაც დუშელი მეგობრები სიმღერითაც გვაგრძნობინებდნენ. ხშირად გვესმოდა მათი ომახიანი ხმა: „ტიალო დარიალაო, კლდენი ხარ ცარიალაო, შენი შემყურე ვაჟკაცი გული-ა ცარიალაო“.

დაღისტანში მოგზაურობის დღიურიდან

როგორც დაღისტნელმა მეგობრებმა გვიამბეს, ეს მთები ერთ დროს შემოსილი ყოფილა ტყით. შამილის ომების დროს ტყე გაუჩეხავთ, მაგრამ გაშიშვლებულ მთებს მაინც შერჩენიათ თავისებური სილამაზე და ახოვნება.

როცა მთიდან მთაზე გადადიხარ, მთებისა და მხოლოდ მთების გარემოცვაში იმყოფები, მოხუცის სიდარბაისლით ჩაფიქრებული მთების შიშის მომგვრელ ხიჩუმში გზას მიიკვლევ, გრძნობ ბუნების უძლეველ სიდიადეს და ბუნების სიმშვენიერით მოხიბლულ სულში ისადგურებს რაღაც ენით გამოუთქმელი აღმფრენა. ამ დროს არ შეგიძლია მოუსმინო თუნდაც ძალიან ტკბილმოუბარ თანამგზავრს, თავადაც ენაძუნწი ხდები, და, ცამდე ასროლილი მთების თუ ფარივით მოქნეული კლდეების სილამაზის ტყვეობაში მყოფს, გულში ძალაუნებურად გემღერება. მღერის გული ოდესღაც წაკითხულ და მერე შენს სულში ორგანულად შემოქრილ ლექსის სტრიქონებს:

„შავმა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა,
აიმართნენ კოშკები
ცისა და ნესტანისა“...

მიხვეულ-მოხვეულმა, მაგრამ შესანიშნავმა მოკირწყლულმა საავტომობილო გზამ, რომელიც დაღისტნის თითქმის ყველა აულში შედის, მალე ქალაქ ბუინაკსკში (ყოფილი თემირხანშურა) მიგვიყვანა. აქ მოხვედრილ ქართველ კაცს არ შეიძლება არ მოაგონდეს გრიგოლ ორბელიანი 1847 წლიდან რამდენიმე წლის მანძილზე რომ სარდლობდა თემირხანშურაში დაბანაკებულ შამილის წინააღმდეგ მებრძოლ აპშერონის პოლკს. ბუინაკსკიდან სულ ორ თუ სამ ათეულ კილომეტრზე მდებარეობს კეთილმოწყობილი დიდი აული ჯუნგუთა, სადაც შესვენების დროს ჩვენმა მეგზურებმა კვლავ გრიგოლ ორბელიანზე ჩამოგვიგდეს საუბარი. თემირხანშურაში გადმოსვლამდე გრიგოლ ორბელიანი ხომ რამდენიმე წელს განაგებდა მეხუთულის სახანოს, რომლის რეზიდენცია ჯუნგუთა იყო.

ორბელიანის აქ ყოფნის დროს მრავალთა შორის ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ავარიის ყოფილი მმართველის ახმედ-ხანის ქვრივი ნოხ-ბიქე ცხოვრობდა მეხუთულის სახანოს მთავარ სოფელ ჯუნგუთაში. ახმედ-ხანსა და ჰაჯი-მურადს შორის არსებობდა მტრობა. ხანის სიცოცხლეში ჰაჯი-მურადმა ვერ შეძლო სამაგიეროს გადახდა, ამიტომ განიზრახა მის ქვრივზე ეძია შური. 1846 წლის 18 დეკემბერს ღამის ორ საათზე ჰაჯი-მურადი 500 მიურიდით შეიპარა სოფელ ჯუნგუთაში. აულის შესავალთან მან მოკლა მცველები და მოახერხა ახმედ-ხანის ქვრივის ნოხ-ბიქეს გატაცება. გრიგოლ ორბელიანი აპშერონის პოლკის ერთი ბატალიონით გამოუდგა ჰაჯი-მურადს, მაგრამ გვიანღა იყო. ამ შემთხვევის გამო 1846 წლის 29 დეკემბერს გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ილიას წერდა: „ჰაჯი-მურადმა შემომითვალა, რომ ეს საქმე ვჰქმენ განგებ შენ გასაჯავრებლად და შესაწუხებლადო. მეც შევუთვალე, პაპაჩემი ირაკლიანი (იგულისხმება მეფე ერეკლე.— ე. უ.) არც დედაკაცებს ეომებოდა და არც იპარავდა ცხვრებსა მეთქი, და არცა მე ვიქ მაგ გვარ შარცხვენელს საქმეს მეთქი; მე როგორც კაცი, ისე შეგხვდები ხმალამოღებული აშკარად, დღისით, მეიდანზე, და მაგ თავს ჩალმიანად მოგგლეჯ, თუ არ გამექცევი, როგორც ბატლაიჩში, ზირანას, ხოჯალმაქის და ქუთაშში მეთქი. — არა კარგი ქოვლუ არა ვარ? — მე და ჰაჯი-მურადს დიდი ხნის ანგარიშები გვაქუს, ვნახოთ როგორ გადაწყდება“...

ამ გახსენებაზე დაღისტნელი და ქართველი მეგობრები სინანულით ვიგონებდით წუეულ წარსულს, როცა ურთიერთ შუღლით აღგზნებული კარის მეზობლები უდანაშაულო ძმათა სისხლს ღვრიდნენ, ვიგონებდით ჩვენი წინაპრების მტრობის უსიამო ამბებს და ვამბობდით: „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო“. მივდიოდით ორი მოძმე ერის წარმომადგენელნი სიყვარულის და მეგობრობის გზაზე, სიმართლისა და სინათლის გზაზე და საერთო სიხარულით შევყურებდით მტრისაგან ათასგზის ანაოხრებ, მაგრამ შეერთებული შრომით აღორძინებულ აულებს, მიუდგომელი მთების ტერასებზე ამფითეატრის მსგავსად რომ არიან განლაგებულნი. სიამაყეს გვგვრიდა მთებში შეჭრილი რადიო და ელექტრობა, სკოლის ზარების ხმაური, მოსწავლეთა ჟრიამული, ტრაქტორის გუგუნი, და ამ ხმებში გვესმოდა ჩვენი ეპოქის მძლავრი მაჯისცემა.

აულ ხოჯალმაქში, სადაც 1847 წელს კავკასიის ომების მონაწილე მრავალი ქართველი და მათ შორის გრიგოლ ორბელიანის ძმა, აპშერონის პოლკის მეთაური ზაქარია ორბელიანი ხოლერით დაიღუპა, პიონერები თაიგულებით შემოგვხვდნენ.

— ალმა ჩოხ! — გვეუბნებოდნენ ხოჯალმაქელები და პურ-ღვინოსთან ერთად მთის პიონერებისათვის უჩვეულო ხილეულითაც გვიმასპინძლდებოდნენ. საბჭოთა მეცნიერებას მთებში არა მარტო მეცხოველეობა, მეხილეობაც განუვითარებია; მიჩურჩნულ მეცნიერებას ზღვარი წაუშლია მთისა და ბარის პავისათვის და აქ, ამ მაღალმთიან რაიონებში დაუმკვიდრებია მსხალი, ვაშლი, ქლიავი... რამდენად დიდი იყო ჩვენი გაკვირვება და სიხარული, როცა შევიტყეთ, რომ ხოჯალმაქის კოლმეურნეობამ გასულ წელს მარტო მეხილეობით ხუთი მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღო, ხოლო ზოგიერთ ხეზე ორნახევარი ტონა მსხალი ჩამოვიდა...

მზე კარგა გადახრილიყო, როცა უკანასკნელი ულელტეხილიც გადავლახეთ და გამოჩნდა არწივების სახოდარი — გუნების მწვერვალი. ულელტეხილს ქვემოთ გერგებილის კაშხალსაკენ ქუხლითან გარბოდა ანდალალის განთქმული მდინარე ყარა-ყოისუ. ანდის თოვლიან მთებზე უკანასკნელ ირაოს აკეთებდნენ არწივები. ჩამავალი მზის ელვარებასა და სასურველი სტუმრების მოლოდინში საზეიმო იერი მიეღოთ ანდალალის აულებს.

ანდალალში შედიოდნენ ანდალალის სტუმრები!...

პირქუში, ირგვლივ ნათალი კლდეებით შემოზღუდულ გუნიბს — ერთ დროს მტრის რისხვას და საქვეყნო სახელგანთქმულ ციხესიმაგრეს — სტუმრების შესახვედრად ფართოდ გაუღია ალაყაფის რკინის კარი, გარეთ გამოსულა ქალი და კაცი, ისმის მუსიკის ხმა, რადიო გადასცემს ქართულ სიმღერებს...

— ორჭამე ალმან ზაბი!*

— ჭაბაგი გუდულხი ღუნიბცაზდაგი, დუშეთცაზდაგი!** — ხუნძური მისალმებებით გვეგებება ფრუნზეს სახელობის ალაყაფის კარი. და ამ კარში როგორც ძმა ძმის სახლში ისე შედიან დუშელები: მწყემსი შიო ნაზღაიძე, მწველავი ელენე პირმისაშვილი, რაიკომის მდივანი გიორგი ზოტიკაშვილი, ზოოტექნიკოსი ლევან ნურაზიანი, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები ხვთისო პეტრიაშვილი და შალვა დანელია.



სურათზე: ქართველ მშრომელთა დელეგაცია ემშვიდობება გუნიბელებს.

ფოტო ი. შეველიოვისა.

*ანდალალში ასეთ ადგილებს ეძახიან ბაღებს.

**ანდალალელ ბავშვებს ასეთ ადგილებს ეძახიან ბაღებს.

** გამარჯობათ, ამხანაგებო!*

*** გაუმარჯოს გუნიბელებისა და დუშელების შეჯიბრებას.*

ბრა მოაქვთ სტუმრებს მასპინძლებისათვის?

კეთილი გული, შრომაში გამარჯვებული ადამიანის სიხარული.

დუშეთში იმრავლა ცხვარმა, იმატა წველადობამ, მარცვლეულის დოვლათმა, შენებამ, — აი რა უნდა ახარონ დუშელებმა გუნიბელებს.

რით ხვდებიან გუნიბელები სტუმრებს? ახალი სამეურნეო და კულტურული გამარჯვებებით, მეცხოველეობის უმაგალითო აღმავლობით, ახალი მშენებლობებით.

ხარობს გუნიბელი მასპინძელი, როცა ხედავს, რომ დუშელი სტუმარი ისეთივე გამარჯვებული ჩამოვიდა, როგორი გამარჯვებაც თავად ხვდა წილად. და ამ სიხარულში ჩვენ ვხედავთ სოციალისტური შეჯიბრების ძალას, მეგობრობის ძალას, პატიოსანი შრომის ზეიმს. სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ადამიანის ამ სიხარულმა შეახვედრა ერთმანეთს ასე პირნათლად ელენე პირმისაშვილი და სალიმათ ახმედოვა, შიო ნაზღაიძე და ომარ პაკალოვი, ხვთისო პეტრიაშვილი და ისლამ ისლამოვი, შალვა დანელია და ჰაჯი მუსაევი — დუშელები და გუნიბელები. ამ სიხარულს უმღერიდა ანდალალის აულებში დაღისტნური დაირა და აღაჩ-კუმუსი, ამასვე უმღეროდნენ ასე ხმამაღლა და ყელმოღერებით გუნიბელი ქალ-ვაჟები, ამ გამარჯვების აღსანიშნავად ამართებოდა ანდალალში ასე ხალხმრავალი შეკრებები, ლხინი, მეჯლისი, ცეკვა-თამაში (დაღისტანში ხომ დიდი და პატარა მოცეკვავეა).

და მაშინაც, როცა დუშელები საჩუქრებს გადასცემდნენ გუნიბელ მეგობრებს, ისინი ერთმანეთის წინაშე, ძმობისა და ამხანაგობის წინაშე ხდებდნენ გაუტეხავ ფიცს — კვლავაც ამრავლონ წარმატებები, ჰქონდეთ ერთმანეთთან მეგობრული მიმოსვლა.

ისე როგორც დუშეთში მოხვედრილ სტუმარს დაუცხრომელი სურვილი იპყრობს იხილოს ვაჟა-ფშაველას ადგილსამყოფელი, დაკვეხეს მთის ამ დიდი მომღერლის ნამყოფი ადგილების მზერით, გუნიბში ჩამოსულებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ნახონ დაღისტნისა და ჩეჩნეთის დიდი იმამის შამილის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე. და აი ჩვენ ვიმყოფებით გუნიბის მწვერვალზე, რომელიც ზღვის დონიდან 2.351 მეტრზეა. როგორც წლის ყოველ დროს, ახლაც მცხუნვარე მზე დაჰქათქათებს გუნიბის თოვლიან ქედებს. ჩვენს წინ არის ქვის ოთხ ბოძზე დაყრდნობილი თუნუქით გადახურული თაღიანი პატარა ფანჩატური შიგ ორი დიდი ლოდით. ფანჩატურის ერთ-ერთ ბოძზე წარწერა გვაუწყებს: „На семъ камне возседалъ генерал-фельдмаршал князь Барятинский принимая пленеского Шамиля в 1859 году 25 августа“.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

**დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 10, 1957 წ.*

რეზოლუციის პროექტი, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 26 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის დელეგაციამ გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში შეიტანა შემდეგი რეზოლუციის პროექტი:

„გენერალური ასამბლეა,

განიარაღების საკითხში სახელმწიფოთა აზრის უფრო ყოველმხრივი გათვალისწინების მიზნით:

ა) **ადგენს** გადიდდეს განიარაღების კომისიის წევრთა რიცხვი ოთხით, რათა ამ კომისიის შემადგენლობაში, გარდა სახელმწიფოებისა, რომლებიც აღნიშნული არიან 1946 წლის 24 იანვრის 1/I რეზოლუციაში, შედიოდნენ ეგვიპტე, ინდოეთი, პოლონეთი და ლათინური ამერიკის ქვეყანა.

განიარაღების კომისიის აღნიშნულ ოთხ წევრს აირჩევს გენერალური ასამბლეა 2 წლის ვადით.

ბ) **წინადადებას აძლევს** განიარაღების კომისიას გააფართოოს მისი ქვეკომიტეტის შემადგენლობა და დამატებით შეიყვანოს მასში ინდოეთი და პოლონეთი.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი დელში

დელი, 25 იანვარი. (**საკდესის სპეც. კორ.**). დღეს დილით საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები პირები ტანობოდნენ ინდოეთის დედაქალაქის ისტორიულ ძეგლებს. მზიანი და თბილი დილა იყო. სტუმრები გაემგზავრნენ ინდოეთის ეროვნული წმიდა ადგილისაკენ — რაჯგჰატისაკენ. ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული ალმებით იმასთან დაკავშირებით, რომ ხვალ რესპუბლიკის დღეა. მანქანები მიდიან დედაქალაქის ულამაზესი მაგისტრალის — რაჯპატის ფართო პარკის გაყოლებით. ხვალ აქ გაიმართება საზეიმო პარადი.

სტუმრებმა გაუარეს ქალაქის უძველეს გალავანს და მიუახლოვდნენ რაჯგჰატს. ეს არის დიდი, რამდენიმე ჰექტარზე გადაჭიმული მწვანე მოედანი, რომლის გარშემო ხეებია. მის ცენტრში, ამაღლებულ ადგილზე დაბალი ბეტონის პლატფორმაა, სადაც 1948 წელს მოხდა ინდოელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოს — მახათმა განდის სხეულის კრემაცია.

რაჯგჰატის შესასვლელთან საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვს მიესალმა ქალაქის მერის მოადგილე ბ-ნი დუბი. გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები საბჭოთა გენერლები და ოფიცრები, ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს კავშირის სპეციალური ჯგუფის წარმომადგენლები გენერალ-მაიორ ხ. მ. მოხიტეს მეთაურობით შედიან რაჯგჰატში. ცენტრალური ალაღლებულ ადგილის კვარცხლბეკთან, ინდოეთის ეროვნული ჩვეულების შესაბამისად ყველა იხდის ფეხსაცმელს.

გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში მ. ა. მენშიკოვი, გენერლები პავლოვსკი, დაგაევი, კიტაევი და ვიცე-ადმირალი ელისეევი იღებენ ვარდებს, მიხაკს, ჯასმინის დიდ მრგვალ გვირგვინს და ადიან ამაღლებულ ადგილზე. დაბალი ქვის მოაჯირის ჭიშკრის გავლით ისინი უახლოვდებიან ბეტონის პლატფორმას, რომელიც ყოველთვის მორთულია ცოცხალი ინდური ყვავილების ლამაზი ხალიჩით, და გვირგვინს დებენ პლატფორმის კვარცხლბეკთან.

ყველანი მდუმარედ დგანან ორი წუთის განმავლობაში.

რაჯგჰატიდან გამოსასვლელთან შეკრებილი დელის მცხოვრებლები გ. კ. ჟუკოვს მისალმებიან და პატივისცემით ხვდებიან.

გ. კ. ჟუკოვმა ერთ საათზე მეტი მოანდომა ქალაქის დათვალიერებას. შემდეგ ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს შენობაში ეგი შეხვდა ინდოეთის სამი გვარეობის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსებს: არმიისა — გენერალ ს. მ. შრინაგეშს, სამხედრო-საზღვაო ძალებისა — ვიცე-ადმირალ კარლეილს, სამხედრო-საჰაერო ძალებისა — ავიაციის მარშალ ს. მუკერჯის და ინდოეთის შეიარაღებული ძალების სხვა გენერლებსა და ოფიცრებს.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს წერილი რესპუბლიკის დღის გამო

დელი, 26 იანვარი. (საკდესი). ინდოეთის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ტექსტი ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს წერილისა ინდოეთის რესპუბლიკის დღის გამო. წერილში ნათქვამია:

რესპუბლიკის დღის გამო მე მივულოცავ ყველა იმათ, ვინც ემსახურება ინდოეთს საზღვარგარეთ ოფიციალურ პოსტებზე ან არაოფიციალურად.

ჩვენი დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ გავიზარდეთ და ახლა ძალღონით აღსავსენი ვართ, ხოლო რამდენადაც ჩვენ გავიზარდეთ, გვეკისრება ახალი პასუხისმგებლობა და ჩვენი ტვირთი დიდდება.

ეს საკვლევით ბუნებრივია. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მხრივ საჭიროა გაცილებით უფრო მეტი ღონისძიებანი, მაგრამ, ყოველივე ამის გარდა, თვითეულ ადამიანს, რომელიც საზოგადოებრივ სამსახურშია, უნდა ახსოვდეს დიდი უპირატესობანი, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებისადმი სამსახურთან ინდოეთის არსებობის ამ ისტორიულ ეტაპზე, მას უნდა ახსოვდეს მხოლოდ ყველაზე ღირსეული საქციელი და პატიოსნება და ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს იდეალები, რომლებსაც ჩვენ ვისახავთ. მხოლოდ ასე შეგვიძლია ნამდვილად ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის საქმეს. ჩვენ ვცდილობთ დავამყაროთ მეგობრობა ყველა ქვეყანასთან და მათ ხალხებთან და, არავის მიმართ არა გვაქვს ბოროტი განზრახვა.

უნდა ითქვას, რომ ინდოეთის ხალხი ჩვენს თაობაში აღმოჩნდა დიდი პასუხისმგებლობის დონეზე და დაიცვა თავისი ქვეყნის პატიოსნება და ღირსება.

ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ავაშენოთ ახალი ინდოეთი, ჩვენი ოცნების ინდოეთი. როგორიც უნდა იყოს სიძნელეები, რომლებსაც, შესაძლებელია, ჩვენ წავაწყდეთ, წინანდებურად ვივლით წინ ჩვენი მიზნისაკენ და მოწმე ვიქნებით ჩვენი ოცნების განხორციელებისა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება

ფხენიანი, 24 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციების ამ ცდების წამო, რომ მიაღწიონ სამხრეთ კორეის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. განცხადებაში ნათქვამია:

იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში შეიტანეს პროექტი რეზოლუციისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად სამხრეთ კორეის მიღების შესახებ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამავალა განვაცხადო შემდეგი:

სამხრეთ კორეის ხელისუფალნი და ზოგიერთი სახელმწიფოს მთავრობები, რომლებიც მათ მფარველობენ, ცდილობენ მიაღწიონ სამხრეთ კორეის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. სამხრეთ კორეის ხელისუფლებს არ შეუძლიათ იყვნენ მთელი კორეელი ხალხის წარმომადგენელნი და ამიტომ მათი განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ უკანონოა, ხოლო სამხრეთ კორეის ცალმხრივმა შესვლამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად შეიძლება შეეშნას საბაბი, რომ მან მეორე მხარეს თავს მოახვიოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური წყობილება. ეს ვერ შეუწყობს ხელს კორეის გაერთიანებას დემოკრატიულ საწყისებზე. საქმის ახლანდელი ვითარების დროს კორეის გაერთიანების რეალური გზა არის ის, რომ უწინარეს ყოვლისა დავიცვათ შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ, გადავაქციოთ ეს დაზავება მტკიცე ზავად და ვეცადოთ, რომ თვით კორეელებმა დამყარონ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა კორეის ორივე ნაწილს შორის. სწორედ ამ მიმართულებით იღებდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყველა შესაძლო ღონისძიებას და ყოველ ღონეს ხმარობდა მათი განხორციელებისათვის.

მაგრამ სამხრეთ კორეის ხელისუფლებმა სრულიად უსაფუძვლოდ უარყვეს ყველა ჩვენი სამართლიანი წინადადება და, უფრო მეტიც, ცდილობენ ცალმხრივად შევიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად და ამით დამატებითი დაბრკოლებები შექმნან კორეის გაერთიანების გზაზე.

ამიტომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ სამხრეთ კორეის ცალმხრივი შესვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად არ უნდა იქნას დაშვებული, და მტკიცე პროტესტს აცხადებს ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ ამ მიმართულებით.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

ბუდაპეშტი, 25 იანვარი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღეს პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა შემდეგი ცნობა:

მძიმე ეჭვების საფუძველზე, რომ მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა ორგანოებმა დაპატიმრეს მწერლები ტიბორ ტარდოსი, დომოკოშ ვარგა, დიო�ა გაი, ბალაჟ ლენდიელი, ზოლტან ზელკი და ჟურნალისტები შანდორ ნოვობაცკი და პალ ლენრი.

დაპატიმრებულთა წინააღმდეგ აღძრულია სასამართლო საქმე.

სურათზე: გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის კლუბის ახალი შენობა.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

სპორტის ამბები

სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატი

ამ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში გაიხსნა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეთა შეჯიბრება სსრ კავშირის 1957 წლის პირველობაზე. მასში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის 8 გროსმაისტერი და 14 მოწინავე მოჭადრაკე.

პირველ ტურში ბოლესლავსკი-ტაიმანოვის, კერეს-მიკენასის და ხოლმოვ-ბანიკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ნეიმეტდინოვმა მოუგო გურგენიძეს, ტოლუშმა — ბრონშტეინს, სტოლიარმა — ხასინს, კორჩნოიმ — ტარასოვს, ფურმანმა — პეტროსიანს, ტალმა — არონსონს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეორე ტურში ბოლესლავსკი-პეტროსიანი, კორჩნოი-ხოლმოვი, ნეიმეტდინოვი-ტარასოვი და ხასინი-კლამანი ყაიმზე შეთანხმდნენ. სსრ კავშირის ჩემპიონს ტაიმანოვს მოუგო ახალგაზრდა მოჭადრაკემ ტალმა. არონსონმა დამარცხა მიკენასი, ბრონშტეინმა — არონსონი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მესამე ტურში მიკენასმა მოუგო გურგენიძეს, ხოლმოვ-ნეიმეტდინოვის, არონსონ-ბანიკის, კლამან-ფურმანის, ტარასოვ-ანტოშინის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას გურგენიძემ დამარცხება განიცადა. მანვე წააგო პარტია მეოთხე ტურში. ტურნირის ლიდერმა ტალმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. მას ოთხი ტურის შემდეგ 4 ქულა აქვს.

რესპუბლიკური ჩემპიონატი კრივში

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში საქართველოს მოკრივეთა მაჩვენებლები მეტად დაბალი იყო. ეს უწინარეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ სპორტის ამ სახეობაში ხშირად არ ეწყობოდა შეხვედრები, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ახალგაზრდა მოკრივეებთან მუშაობას, მათ დაოსტატებას, დისციპლინას.

მართალია, ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა შეხვედრათა რაოდენობა, მუშაობას დაეტყო ერთგვარი გარდაქმნა, მაგრამ საერთო შედეგები ჯერ კიდევ დაბალია. ამაზე მეტყველებს თუნდაც რესპუბლიკური ჩემპიონატი კრივში, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა თბილისში.

როგორია ამ შეჯიბრების შედეგები?

ჩემპიონები წონითი კატეგორიის მიხედვით გახდნენ: ი. შეპეტკოვი, შ. ხუდოიანი, ლ. ასატროვი, კ. ზუბაიშვილი, ზ. კოზაევი, ს. არუთინოვი, გ. დარბაისელი, ნ. დარბაისელი, თ. მიქაელიანი, ფ. ლომიძე.

სპორტის მოყვარულთათვის ეს გვარები საკმაოდ ნაცნობია, ამასთანავე მთელ რიგ შეხვედრებში ვერ ვხედავდით მაღალტექნიკურ ბრძოლას, შეჯიბრებაში მონაწილეთა შორის მცირე გამონაკლისის გარდა არ ჩანდა ახალგაზრდობა. სუსტად ჩაატარა შეხვედრები რინგის ისეთმა ოსტატმა, როგორიც არის ნ. დარბაისელი. დაბალი იყო კ. ბაბახანიდის ბრძოლისუნარიანობა, ტექნიკა, ტაქტიკა.

შედგენილია საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელიც გაიგზავნა წვრთნას, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა სერიოზული მუშაობა სპორტის ამ სახეობაში.

წელს მოეწყობა ამერიკაკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენთა სპარტაკიადა. ამ პასუხსაგებ შეჯიბრებას საქართველოს მოკრივეები მომზადებული უნდა შეხვდნენ.

ხუთი მოძმე რესპუბლიკის მოთხილამურეთა შეხვედრა

ვოროხტა. 25 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ხუთი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ლიტვისა და ლატვიის მოთხილამურეთა კოლექტივების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 140-მდე სპორტსმენმა. შეჯიბრება მოეწყო სათხილამურო გადარბენებში, სლალომში, ორჭიდში, ხტომებში.

სოფელ ვოროხტაში (სტანისლავსკის ოლქი) გამართულ ამ შეხვედრებს სპორტის მრავალი მოყვარული ესწრებოდა. შეჯიბრებამ მაღალ სპორტულ დონეზე ჩაიარა. დამყარებულია ახალი რეკორდები.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობებში. მაგალითად, საქართველოს მოთხილამურეებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს სლალომში, ორჭიდში, სლალომგიგანტში, ტრამპლინიდან ხტომებში. საქართველოს სპორტსმენებს დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ სათხილამურო გადარბენებში.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წარმომადგენელმა სსრ კავშირის ჩემპიონმა კ. წაქაძემ ტრამპლინიდან ხტომაში 81,5 მეტრი აჩვენა, საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა და პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს მოთხილამურეებმა — პ. კოზანაშვილმა, ი. ჯანგობეკოვმა და პ. გავამ პირველი ადგილი დაიკავეს სლალომში, სლალომ გიგანტში და ორჭიდში.

ხუთი მოძმე რესპუბლიკის მოთხილამურეთა შეხვედრამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა უკრაინის სპორტსმენთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ბელორუსიის გუნდი, მესამეზე — საქართველოს გუნდი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე-სახელმწიფო-სესხი

ოფიციალურად ცნობილია, მოგებიანია მეორე სესხი, რომელიც გაიმართა 1957 წლის 20 იანვარს ქ. სტალინგრადში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
020078	1—50	500	032004	39*)	10.000
020103	29*)	1.000	032241	25*)	1.000
020120	1—50	200	032266	38*)	1.000
020191	1—50	200	032447	1—50	500
020373	1—50	500	032568	1—50	200
020467	32*)	1.000	032609	40*)	1.000
020787	1—50	500	032633	47*)	1.000
020971	34*)	1.000	032689	1—50	200
021432	05*)	1.000	032719	38*)	1.000
021626	1—50	200	032723	09*)	1.000
021706	44*)	1.000	032874	1—50	200
022011	1—50	500	032946	09*)	1.000
022021	21*)	1.000	033138	44*)	1.000
022237	27*)	1.000	033188	20*)	1.000
022266	21*)	1.000	033195	08*)	1.000
022429	1—50	200	033383	20*)	1.000
022447	1—50	200	033431	1—50	200
022462	44*)	1.000	033487	49*)	1.000
022478	05*)	1.000	033513	11*)	1.000
022509	41*)	1.000	033570	11*)	1.000
022983	39*)	1.000	033624	46*)	1.000
022988	33*)	1.000	033706	1—50	200
023377	16*)	5.000	034046	44*)	1.000
023485	1—50	200	034056	07*)	1.000
023522	30*)	1.000	034098	35*)	1.000
023816	1—50	200	034099	36*)	1.000
023831	13*)	1.000	034270	21*)	1.000
023877	42*)	1.000	034274	1—50	200
024141	49*)	1.000	034311	17*)	10.000
024368	16*)	1.000	034348	47*)	5.000
024408	44*)	1.000	034359	38*)	1.000
024513	31*)	1.000	034812	20*)	50.000
024812	17*)	1.000	034857	33*)	1.000
025235	24*)	1.000	034894	17*)	1.000
025238	34*)	1.000	035005	23*)	1.000
025442	13*)	1.000	035144	24*)	1.000
025935	46*)	1.000	035286	1—50	200
026281	1—50	500	035429	45*)	1.000
026289	48*)	1.000	035442	01*)	1.000
026510	43*)	1.000	035472	20*)	1.000
026653	1—50	200	035515	47*)	1.000
026768	1—50	200	035697	41*)	1.000
026941	49*)	1.000	035900	1—50	500
026974	41*)	1.000	035941	20*)	1.000
027037	39*)	1.000	035947	27*)	1.000
027098	04*)	1.000	036036	08*)	1.000
027235	1—50	200	036092	1—50	500
027590	1—50	500	036114	30*)	1.000
027720	16*)	25.000	036186	38*)	1.000
027722	1—50	200	036217	26*)	10.000
027755	40*)	10.000	036245	1—50	500
027805	47*)	1.000	036301	01*)	1.000
027815	34*)	1.000	036369	02*)	1.000
027818	41*)	1.000	036693	1—50	500
027823	1—50	500	036812	26*)	1.000
027896	14*)	1.000	036877	07*)	1.000
028003	1—50	500	036879	1—50	500
028203	21*)	1.000	036914	1—50	200
028284	31*)	5.000	036968	1—25	200
028321	1—50	500	037053	08*)	5.000
028712	06*)	5.000	037190	1—50	200
029008	08*)	5.000	037202	1—50	200
029261	06*)	1.000	037405	1—50	500
029346	32*)	5.000	037856	34*)	1.000
029399	1—50	200	038044	10*)	1.000
029518	38*)	1.000	038064	08*)	1.000
029646	1—50	200	038118	46*)	1.000
029839	22*)	1.000	038134	18*)	1.000
029913	07*)	1.000	038189	34*)	1.000
029973	1—50	200	038190	1—50	500
029994	39*)	25.000	038243	1—50	200
030106	31*)	1.000	038461	42*)	1.000
030134	40*)	5.000	038623	10*)	1.000
030681	1—50	500	038636	1—50	200
030695	50*)	5.000	038844	07*)	5.000
030801	32*)	1.000	038981	1—50	500
030985	1—50	200	039039	22*)	1.000
031060	23*)	1.000	039113	19*)	1.000
031411	21*)	1.000	039128	22*)	1.000
031470	11*)	1.000	039212	1—50	200
031541	05*)	1.000	039439	29*)	10.000
031714	1—50	200	039549	1—50	500
031716	29*)	1.000	039555	01*)	1.000
031962	11*)	1.000	039631	02*)	1.000

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — სტალინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

ხ. ხ. სალიბაევი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი

ლ. ა. ვასილიევა.

რედაქტორის მოადგილე

რ. ჟურციკიძე.

ანდაღაღის სტუმრები

(დასასრული)

თითქმის ერთი საუკუნე გასულა მას შემდეგ და მუდამ მზიან გუნებაში მზე რომ არ მზეობდა, მისმა ცხოველმყოფელმა სხივმა დღეს ბარაქიანად შეანათა ყოველი მთიელის სახლში, თავისუფლებისათვის მებრძოლმა დაღისტნელმა მოიპოვა თავისუფლება. ოქტომბრის მზემ გზა გაუნათა წინსვლის გზაზე შემდგარ მთიელს. ძალა და ძლიერება შემატა მას, დაამგობრა ერთ დროს მტრულად განწყობილ კარის მეზობლებთან.

და ეს მეზობლები, მოძმე ქართველები, დაღისტნელებთან ერთად ხარობენ მათი შრომითი გამარჯვებებით, მიღწეულით და მოპოვებულით. ეს მიღწევები კი არც ისე ცოტაა. სოფელ ჭოხის კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 18 მილიონ მანეთს მიაღწია. მარტო მეცხვარეობიდან კოლმეურნეობამ გასულ წელს ხუთი მილიონი მანეთი მიიღო. კოლმეურნეობამ მონაწილეობა მიიღო ცხვრის ახალი ჯიშის — „დაღისტნური მთის“ ჯიშის გამოყვანაში. ცხვრის ეს ჯიში კარგია იმით, რომ საუკეთესოდ ეგუება მთის პირობებს. უწინ წერა-კითხვის უცოდინარმა ჭოხელებმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქვეყანას მისცეს ასზე მეტი ექიმი, ვეტექიმი, აგრონომი, ინჟინერი, მასწავლებელი, ბევრი მეცნიერი მუშაკი. ამ სოფელშია დაბადებული და ფეხადგმული თვალის ნუნუელთა პროფესორი ბულაჩი, რომლის სახელი მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი. ასევე ამაყობენ ჭოხის მეზობლები ქუდალელები თავიანთი სახელოვანი შვილით პროფესორ ხალილ ფატალიევით, რომელიც ამჟამად მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრას განაგებს. კულტურა დამკვიდრდა ჭოხისა და ქუდალის მეზობელ აულებში — სულრთალში, ბაწადაში, ხინდალზში, ყოროდაში, რუღჯაში, სალთასა თუ ობოზში. დაღისტნის მთებში მტკიცედ დამკვიდრებულა რადიო და ელექტრობა. ჩვენ ვერ მოვხვდით ისეთ აულში, რომელიც რადიოფიცირებული და ელექტროფიცირებული არ იყოს, რომელსაც კეთილმოწყობილი სკოლების გვერდით კარგი კლუბი ან კულტურის სახლი არ ჰქონდეს.

გულწრფელად გვახარებდა დაღისტნელთა მიღწევები. ამ სიხარულს ისიც აძლიერებდა, რომ მრავალი ქართველი მეცნიერისა და მწერალის სახელს ჩვენი თანამოძმენი სიყვარულით იგონებდნენ. დაღისტნელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველი ენათმეცნიერი აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა. როგორც ცნობილია, დაღისტანს „ენების მთას“ ეძახიან. ამ ერთმილიონიან ხალხში 30-მდე ენაა, მათ შორის ბევრს თავისი დამწერლობა აქვს. დაღისტნელები არ ივიწყებენ არნოლდ ჩიქობავას დიდ ამაგს. იგი დიდხანს ცხოვრობდა დაღისტანში და წლების მანძილზე მუშაობს დაღისტნური ენების მეცნიერული კვლევა-ძიებისა და კავკასიური ენების მცოდნე მეცნიერ მუშაკთა აღზრდისათვის. ასევე სიყვარულით იგონებენ დაღისტნელები ქართველ ისტორიკოს-ეთნოგრაფს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პროფესორ გიორგი ჩიტაიას, ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის რამდენჯერმე რომ უმგზავრია დაღისტანში, დრამატურგ იონა ვაკელს — ცნობილი დრამის „შამილის“ ავტორს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, მწერალს აკაკი გაწერელიას, ფეხით რომ შემოუვლია მთელი დაღისტანი, ზედმიწევნით შეუსწავლია შამილის ომების ისტორია, რომლის საფუძველზე მას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაწყვეტი რომანიდან „შამილი“ და გრიგოლ ორბელიანის „წერილები“ მეცნიერული სიზუსტით შედგენილი კომენტარებითურთ. დაღისტნელები პატივს სცემენ აგრეთვე პოეტებს ხუტა ბერულავასა და თეიმურაზ ჯანგულაშვილს, როგორც დაღისტანისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლთა ავტორებს.

ბევრი რამ სასარგებლო და საყურადღებო ნახეს დუშელმა კოლმეურნეებმა დაღისტნის მთებში, კასპის ზღვისპირა „კუტანებში“. დაღისტნელმა მეცხოველეებმა თავიანთ მეგობრულ შეხვედრებში გულწრფელად გაუზიარეს ქართველ კოლმეურნეებს თავიანთი ძვირფასი გამოცდილება.

როცა ჩვენი დელეგაცია დაღისტნის აულებსა და „კუტანებში“ ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მახაჩკალაში დაბრუნდა, მახაჩკალელმა მეგობრებმა მლეთელ მწყემს ნაზღაიძეს ჰკითხეს:

— როგორ მოგეწონა, შიო, ჩვენი მთები, რა ნახე იქ ღირსშესანიშნავი?

ნაზღაიძე ჩაფიქრდა და მცირე პაუზის შემდეგ ხევსურული სიდინჯით უპასუხა:

— მე მთაში გაზრდილი კაცი ვარ და მიყვარს მთის ბუნება. ჩვენშიც ბევრია მთა — გუდამაყარი, ბურსაჯირი, დარიალა... ჩემი სიცოცხლის ნახევარი იქ ცხვარში გამატარებია. მთა მიყვარს, მაგრამ არ მაკვირვებს, ხოლო ნამდვილად გამაკვირვეს და გამახარეს აქაურმა ადამიანებმა, მათმა გულწრფელობამ და მეგობრულმა შეხვედრებმა.

მართალი იყო ნაზღაიძე. ყველგან — მთაში თუ ბარში, აულებში თუ „კუტანებში“, ოჯახებში თუ დაწესებულებებში — ვგრძნობდით თანამოძმეთა გულთბილ დამოკიდებულებას ჩვენდამი, აღფრთოვანებაში მოვყავდით მეგობრულ შეხვედრებს. ამ შეხვედრების გვირგვინი იყო გამომგზავრების დღეს დაღისტნის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. ალიევის მიერ გამართული დარბაზობა ჩეხოსლოვაკიის კულტურის მუშაკთა და ქართველ მშრომელთა დელეგაციის პატივსაცემად. ამ შეხვედრაზე ერთხელ კიდევ მოვისმინეთ დაღისტნის ხელმძღვანელი ამხანაგების გულთბილი სიტყვები, გავუზიარეთ მათ ჩვენი მოგზაურობის მდიდარი შთაბეჭდილებები.

ჩვენთვის დიდი ბედნიერება იყო ასე ახლო გავცნობოდით ჩეხოსლოვაკ ამხანაგებს: ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის სლოვაკიის კომიტეტის მდივანს ანდრია მარცინას, მშვიდობის დაცვის ჩეხოსლოვაკიის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირის იულიუს ფუჩიკის მეუღლეს გუსტა ფუჩიკოვას, არქიტექტორს, სახალხო მხატვარს, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრს ირჟი კროგას, ზდენეკ ნეიდლის სახელობის რეალისტური თეატრის მსახიობს ლიბუშე პეშკოვას, ეროვნული კრების დეპუტატს ფრანტიშეკ ბუბნიკს, ჟურნალ „სვეტ სოვეტუს“ რედაქტორს კვიტა გორსკას და სხვებს.

ჩეხოსლოვაკ მეგობრებს ვუამბეთ, რომ საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს იულიუს ფუჩიკის წიგნი „რეპორტაჟი სახრჩობელიდან“, იან დრდას და კარელ ჩაპეკის მოთხრობები. ვუამბეთ, რომ ათეულ წელზე მეტია ბათუმისა და იგლავის საშუალო სკოლის მოსწავლეებს მეგობრული მიწერ-მოწერა აქვთ.

— უაღრესად მოხარული ვარ, — თქვა თავის სიტყვაში გუსტა ფუჩიკოვამ,—რომ თქვენი სახით ვხედავთ მზიური საქართველოს წარმომადგენლებს. ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარს საქართველო, ქართველი ხალხი, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია და კულტურა. გთხოვთ გადასცეთ ქართველ ხალხს ჩვენი გულწრფელი სალამი და კეთილშობილი სურვილები. ქართველი ხალხისადმი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად მან თვითეულ ჩვენგანს გულზე დაანბინა სამკერდე ნიშანი იულიუს ფუჩიკის გამოსახულებით.

დავტოვეთ სტუმართმოყვარე, მეგობრული დაღისტანი. გამოვეთხოვეთ ერთმანეთს იმ რწმენით და სურვილით, რომ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს საქართველოშიც, დაღისტანშიც, ჩეხოსლოვაკიაშიც...

ასეთი იყო ს